№ 3035
პარასკევი,
24 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3035
პარასკევი,
24 მარტი

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს
ცნობის ფურცელი
სურათებიანი დამატებით
გამოვა იმავე პროგრამით ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ.
ფასი გაზეთისა:
კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ.
საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.
გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება
დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლებისა ახალგაზრდა ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.
ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

ამ წლის 25 მარტს გამოვა
ყოველ კვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი
„ნობათი"
სრულის პროგრამით.
ფასი გაზეთისა ერთის წლით 5 მან., 25 მარტიდან წლის დამლევამდე გაზეთი ეღირება მხოლოდ 3 მანეთად. ცალკე ნომერი 10 კაპ.
ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—1. „ნობათის" რედაქციაში (ორბელიანის ქ., № 6); 2. ბიურო „სატრუდნიკ"-ში (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. ეზოში); 3. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბ. შ. ქურუკაშვილთან. ქ. ქუთაისში—ბ. ისიდორე კვიცარიძესთან (ამხანაგობა „კოლხიდა"). ბათუმში— გერასიმე კეკელიძის გაზეთის ბიუროში.

ახალი რესტორანი
„ავრორა"
ანისი, რომელსაც „არარატი" ეკუთვნოდა. მიხაილოვსკის ქ., ბერძნიშვილის სახლი, № 5, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად).
რესტორანი საუკეთესოდ არის მოწყობილი, სამაგალითო სისუფთავე, მშვენიერი საჭმელები და ზრდილობიანი მოპყრობა. რესტორანთან არის პატარა ბაღი და ცალკე კაბინეტები. მზადდება ყოველნაირი საჭმელები. ღვინო საუკეთესო ფირმებისა. როგორც საჭმელი, ისე ღვინო იაფად. სადილები: ორი კერძი, ერთი არაყი, ერთი სტაქანი ღვინო ან ლუდი—50 კაპ., სამი კერძი, ერთი არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—80 კაპ.; ოთხი კერძი, ერთი არაყი, ნახ. ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—1 მან.
მარტის დამლევიდან რესტორანთან იქნება ბილიარდები გოცის ფაბრიკისა.
(თვ.—9) პატივის ცემით მანო და ბიგო.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების
„კახეთის"
გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1906 წლის 5 აპრილს დანიშნულია მეორე წლიური საზოგადო კრება წევრთა თელავში, დილის 10 საათზედ. ეს კრება, როგორც მეორე, თანხმად წესდებისა, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.
კრებამ უნდა განიხილოს:
წლიური ანგარიში, 1905/1906 სამოქმედო წლის ხარჯთ-აღრიცხვა, მოხსენება კომისიისა შესახებ ღვინის დაფასების ინსტრუქციის შეცვლაზე; საკითხი განყოფილების გახსნის შესახებ; განხილვა ინსტრუქციის შესახებ საზოგადოების საქმეების წარმოებისა; საზოგადოების ახალ წევრთა არჩევა; არჩევა სარევიზიო კომისიის ორის წევრისა, გამგეობის ერთის წევრისა და გამგეობის წევრის ორის კანდიდატისა. (3—6.—4)

ამ სავალდებულო დადგენილებათა მე-13 §-ის ძალით, რომელიც ეხება საქონლის ზიდვის საქმეს ტფილისში, ქალაქის გამგეობა სთხოვს მედროგეებს მობრძანდნენ 26 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე გამგეობაში თავიანთის ნიშნებით და სავალდ. წიგნაკებით. [illegible] მოხდეს არჩევანი მამასახლისისა და [illegible]ის კანდიდატისა. (3—6.—2)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,
რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საქალებო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნიზა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—28)

ექიმი
მ. ხ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 13, სახლი ხვანიშვილისა.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 5—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

რეჟისორი ქართული დრამატიული დასისა იწვევს ისურველთ სცენის მოყვარეთა მუდმივ სტატისტებად. მოლაპარაკება შეიძლება 11 საათზე ყოველ დღე, საარტისტო თეატრის პატარა სენა. (1—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(დაარსებულია 1880 წელს)
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ მიიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,
ბ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მ. ზ. ამეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბძელიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.
ა. პ. ქარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.
ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.
ვ. ი. ბურგანოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.
საღამოობით:
ა. მ. პუზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.
ნ. მ. აზიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.
რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памятника Воронцова. (წლ.)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. ზ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიული, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.
ი. ნ. მიქაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.
მ. ნ. დიმიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ს. ა. ტატიშოხოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ი. ამეტიხოვი. 12—1 ს. კალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ზ. ქიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ილჩიიშვი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
ზ. ა. ზეიიძე. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებითა. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო ოთახს და ცალკე ოთახებს. (150—60)

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა მიღება საშარდეს და სიფილისის ავადმყოფებისა, დილით 12—1 ს., საღამოთი 6—8 ს., კუკია. სემენოვსკის ქუჩა, № 20 (თვ.—8)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. ს. ბეთანოვი
იღებს ავადმყოფებს (ქალის, საბებიო, შინაგანი სნეულ.) ვლადიკავკავის და ტფილისის ქუჩების კუთხე, კომერციულ ბანკის სახლში. (30—31.—19)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

„დაურღვეველი საბუთები"

ბ-ნ ტფ. გენ.-გუბერნატორის წინადადების გამო.

წარსულ შაბათს ტფ. გენ.-გუბერნატორმა, ბ-მა ტიმოფეევმა, ოფიციალურ „კავკაზ"-ში შემდეგი განკარგულება დაჰბეჭდა:

„ქართულს გაზეთს „ცნ. ფურც."-ში არა ერთხელ დაბეჭდილა ქუთაისის გუბერნიიდან ისეთი წერილები და კორესპონდენციები, რომლებითაც რედაქცია სცდილობს აღნიშნოს იქ მოქმედ ჯარის უწესო მოქმედება. თუმცა რედაქტორი უკვე გაფრთხილდა—ყურადღებით მოპყრობოდა თანამშრომელთა მიერ მოწოდებულ ამბებს, გაზეთის ერთს უკანასკნელს ნომერში მოთავსებულ იქმნა კორესპონდენცია იმერეთიდან, რომელიც შემდეგ „ნოვ.ობოზრ."-მ გადაბეჭდა. ამ კორესპონდენციაში გაზეთი ათას რამეს აბრალებს ჯარს: სახლების ცეცხლის წაკიდებას, მკვლელობას, ქალების გაუპატიურებას და სხვას. ყველა ამის გამო, მე, ტფ. გენ.-გუბერნატორი, წინადადებას ვაძლევ „ცნ. ფ."-ს რედაქტორს, შვიდი დღის განმავლობაში წარმოადგინოს დაურღვეველი საბუთები იმისა, რომ ამ შენიშვნაში დაბეჭდილი ამბები ნამდვილად მოხდა და არა მოგონილია კორესპონდენტის მიერ. ამასთან გაფრთხილებ რედაქტორს, თუ ამ ვადის განმავლობაში არ წარმოადგინა დამამტკიცებელი საბუთები, გაზეთი „ცნ. ფურც." დაიკეტება იმ დრომდე, ვიდრე ტფ. გუბერნიასა და მაზრაში სამხედრო წესები არ აიხსნება".

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ თავი დამნაშავედ არ მიგვაჩნია. ჩვენ ჩვენს მოვალეობას ვასრულებდით და ვასრულებთ ისე, როგორც გვესმის პრესის დანიშნულება. ჩვენ არ შეგვეძლო გავჩუმებულიყავით, როცა ქვეყანა აიკლეს და ხალხი ააწიოკეს, როცა მთელი დასავლეთი საქართველო და აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი გაუგონელს ტანჯვა-ვაებაში ჩააგდეს. პირიქით, ჩვენ დავაშავეთ ხალხის წინაშე, რომ უფრო მედგრად და უფრო გაბედულად ვერ დავიცავით დატანჯული სამშობლო მხარე, მაგრამ ჩვენმა მკითხველებმა იციან ის „საპატიო მიზეზები", რომლებიც ხელ-ფეხს გვიბორკავდნენ და გვიშლიდნენ უფრო ნათლად გამოგვემჟღავნებინა მძვინვარე „დამსჯელების" მოქმედებანი. აი, ახლაც დაინახავს ყოველი მკითხველი, რამდენად „საპატიო" ყოფილა ის მიზეზები: ჩვენ ბრალსა გვდებენ, დამნაშავედ გვთვლიან იმისთვისაც კი, რომ გავბედეთ და მხოლოდ ზოგი ფაქტი გამოვაქვეყნეთ, გავკადნიერდით და საზოგადოებას მხოლოდ მკრთალი სურათი მივაწოდეთ იმ საშინელებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას დაატყდა თავს...

ბ-ნი ტფ. გენ.-გუბერნატორი მოითხოვს ჩვენგან „დაურღვეველ საბუთებს" ამ საშინელებისას. რაღა საბუთებია იქ საჭირო, სადაც ქვანიც კი ღაღადებენ?! ვინც თავის თავს შრომას მიაყენებს და დასავლეთ საქართველოსკენ გაემგზავრება, ვგონებდან გადმოსვლაც არ დასჭირდება—ისედაც დაინახავს „დაურღვეველ საბუთებს". ხაშურიდან დაწყებული შავ ზღვამდე საშინელი ნანგრევები უტყუარად მოწმობენ იმ გმირობას, რომლის მეოხებით „მუდამ აღყვავებული" მხარე მიწასთანაა გასწორებული, დედა-მიწა ხალხის ცრემლებითა და სისხლითაა გაჟღენთილი... ჩვენ, ჩვენს ერს ეს საბუთები არ სჭირია: მან ყველაფერი გამოსცადა თვითონ, ყველაფერი თავის თვალით ნახა, ყველა დამნაშავეს იცნობს და არასოდეს არ დაივიწყებს... მაგრამ ბ-ნს ტფ. გენ.-გუბერნატორს არა სჯერა, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა, არა სჯერა, რომ ამაების ჩამდენი ჯარი ყოფილიყო; მას გაზეთების არაფერი სწამს და სხვა საბუთები უნდა. როგორც ოფიციალური პირი, ის ოფიციალურს წყაროებს ენდობა და ამიტომაც, თანახმად გენ. ალიხანოვის ოფიციალურის დეპეშებისა, უარჰყოფს ჩვენს ცნობებსა და ბრალდებას და მოითხოვს „დაურღვეველ საბუთებს".

კანონით, ლოღიკით, სიმართლით (რითაც გინდათ), ამგვარ შემთხვევაში საჭირო იყო ჩვენი სამართალში მიცემა. მაშინ ჩვენ შეძლება მოგვეცემოდა მრავალ მოწმეების დაბარებით, ოფიციალურ მიწერ-მოწერისა და საბუთების მოთხოვნით, მოხელეთა ჩვენების ჩამორთმევით და ბევრ სხვა კანონიერ ღონისძიებით სრული ჩვენი სიმართლე დაგვემტკიცებინა. მაშინ ტფ. გენ.-გუბერნატორიც დარწმუნდებოდა—ვინაა მართალი და ვინ სტყუის და მთავრობაც გაარჩევდა ნამდვილ დამნაშავეთ, თუ-კი ჰსურს მათი აღმოჩენა. მაგრამ გენ.-გუბერნატორმა არ მოისურვა სასამართლოსთვის მიმართვა და ამრიგად ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო.

მართლაც, გაითვალისწინეთ ის პირობები, რომელიც გვიშლიან „დაურღვეველ საბუთების" წარდგენას: 1) არც ერთი მთავრობის დაწესებულება და [illegible] პირი ოფიციალურად ჩვენ საბუთებს არ გადმოგვცემს; 2) ქუთაის. გუბერნიასა და ქართლში ისეთი რეჟიმია ახლა, რომ შეუძლებელია ჩვენი კერძო გამომძიებლები თავისუფლად მივიდნენ და საბუთები შეჰკრიბონ; 3) ხალხი ისე შეშინებული და თავზარდაცემულია რეპრესიებისაგან, რომ ვერ გაჰბედავს ყოველისფრის გადმოცემას; 4) მოწმედ ვერავინ დაგვიდგება იმის შიშით, რომ მეორე დღესვე დასწვავენ და გაანადგურებენ. აქედან ცხადად სჩანს, რომ სანამ საქართველოში სამხედრო წესებია, სანამ დაზარალებულთა კარებზე ზარბაზნები სდგას, ჩვენ ხელ-ფეხ შებორკილები ვართ და გაგვიჭირდება გენ.-გუბერნატორის ცნობის-მოყვარეობის დაკმაყოფილება. ამასთან, მხედველობაში მისაღებია ისიც არის, რომ შვიდი დღის ვადა დაგვინიშნა. ოთხი დღე მარტო მისვლა-მოსვლასა და მიწერ-მოწერას უნდა და სამ დღეში როგორ უნდა გვეშოვა ისეთი და იმდენი საბუთები, რომლის მოპოვებისათვის მთავრობის მთელმა გამოსაძიებელმა მექანიზმმა სამი თვე მაინც უნდა დახარჯოს?!

თუ ყველა ამას მიიღებთ მხედველობაში, დაგვეთანხმებით, რომ მეტად მკაცრი წინადადება მოგვეცა, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვცდით და ზოგიერთ ფაქტებსა და საბუთებს მივაწვდით ბ-ნს ტფ. გენ.-გუბერნატორს. ამათ მნიშვნელობას, უეჭველია, იგი უარს ვერ ჰყოფს, მაგრამ, თუ იცოტავა, იმდენი პატივი მაინც გვცეს ჩვენ, საზოგადოებრივ აზრის წარმომადგენელთ, რომ ცოტა მეტი ვადა მოგვცეს და, იმედი გვაქვს, ბევრ სხვა საბუთსაც წარვუდგენთ.

პირველად ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის „დიდი ფაქტები", რომელთა უარყოფა ძნელია და რომლებს დამტკიცებაც არ უნდა. ჩვენ აღვნიშნავთ, რომელი დაბა-სოფელი და ქალაქი გადასწვეს და ააწიოკეს ჯარებმა, როგორც-კი ფეხი შესდგეს დასავლეთ საქართველოში. აღნიშნული გვაქვს დღე, ადგილი და მათი შემოწმება მმართველთ არ გაუჭირდებათ. მთელი ყვირილა შეამოწმებს, რომ ამა და ამ დღეს ჯარმა გადასწვა და გაძარცვა ეს დაბა. ყვირილა, ბელაგორი, ქუთაისი, ოზურგეთი, აბაშა—მთელი დასავლეთი საქართველო შეამოწმებს, რომ მცხოვრებთ თავისი საცხოვრებელი თავისავე ხელით არ დაუნგრევიათ, არ გადაუწვავთ და არ გაუქურდავთ, თუ-კი ამას დამტკიცება უნდა. ჩვენ მხოლოდ ჩამოვთვლით ამ ფაქტებს:

დეკემბრის უკანასკნელ დღეებში ტფილისიდან გაიგზავნა რამდენიმე რაზმი ქვეითა ჯარის-კაცებისა, პლასტუნებისა და არტილერიისა.

1) 1-ლ იანვარს ამ ჯარის მოწინავე რაზმი უკვე ხაშურს მივიდა. 1 და 2 იანვარს ხაშური ნახევრად განადგურებულ და გადამწვარ იქმნა; დუქნები და ბევრი კერძო სახლი გაძარცვეს.

2) 7 იანვარს გადიწვა ბელაგორის უმეტესი ნაწილი.

3) 8, 9 და 10 იანვარს გადიწვა $^3/_4$ დაბა ყვირილისა; სრულიად მიწასთანაა გასწორებული; მრავალი ვაჭარი და სახლის პატრონი მათხოვრად იქცა. ბანკი, სტამბა და სხვა დაწესებულება დაიწვა.

4) აჯამეთსა და სვირის შუა დელეგატთა მატარებელზე რამდენიმე კაცი დახვრიტეს.

5) 9 იანვარს ქუთაისში გადაიწვა 30 დუქნამდე და ბევრი გაიძარცვა.

6) სამტრედიაში 16 და 17 იანვარს 30 დუქანზე მეტი გადაიწვა და გაიქურდა.

7) პოლკ. კრილოვის რაზმი ოზურგეთს 12 იანვარს ჩავიდა და იმავ ღამეს გადიწვა ბაზარი.

8) 14 იანვარს იწვის ფოთი.

9) 10 იანვარს გადიწვა 37 სახლი სოფ. ბაღდადში.

10) 23 იანვარს გადაიწვა ჰიათურის ბაზარი.

11) 28 იანვარს ახალ-სენაკში გადიწვა ორი რიგი დუქან-სახლისა.

12) 28 იანვარს სოფ. [illegible]ში 60-მდე ოჯახი გადასწვეს.

13) 31 იანვარს ნაგომარ-ეწერში 15 მოსახლე გადასწვეს.

14) 2 თებერვალს სოფ. ხვანჭკარაში (რაჭის მაზრა) 48 სახლი გადასწვეს.

15) 20 თებერვალს სოფ. დილიკაურში (შორაპნ. მაზრა) გადასწვეს 7 სახლი.

16) 2 მარტს ჩოხატაურში დაანგრიეს და დასწვეს 14 სახლი.

17) 12 იანვარს სოფ. ხალიფაურში (შორ. მაზრა) დასწვეს 12 სახლი.

18) დაბა საჩხერეს 12 იანვარს გადასწვეს 22 სახლი და დუქანი.

19) 26 იანვარს სოფ. ჰაქვინჯში (სამეგრელო) გადასწვეს 50-მდე სახლი.

20) მარტის პირველ რიცხვებში ლეჩხუმის მაზრაში გადასწვეს 19 სახლი და 3 დუქანი. და სხვა და სხვა და სხვა...

ასეთია ის საშინელი სურათი, რომლის წინაშე ყოველი ადამიანი შეკრთება და ვერც-კი გაჰბედავს დამამტკიცებელის საბუთების მოთხოვნას. მაგრამ მივმართოთ სხვა ფაქტებსა და ოფიციალურის წყაროებით შევამოწმოთ,—იმ ოფიციალურის მოხსენებით, რომელიც მოვახერხეთ და ამ შვიდ დღეში ვიშოვეთ ქუთაისსა და დას. საქართველოს ზოგიერთ დაწესებულებებში.

ქუთაისის პოლიცმეისტრის რაპორტი გუბერნატორის სახელზე, № 386, 1 თებერვალს, 1906 წელს: „27 იანვარს, ღამე, გაძარცვეს, დაანგრიეს და კლიტეები დაჰგლიჯეს შემდეგ პირების მაღაზიებს და დუქნებს:

1. მიხაილოვის ქუჩაზედ, პურქლისა და ავეჯეულობის მაღაზია ნიკოლოზ რაფაელოვისა; ზარალი, დაზრელის განცხადებით, 18,000 მანათამდეა.

2. გასტრონომიული, სამხვარ-გარეთულ სასმელების და საბაყლო მაღაზია ძმ. იზანეზოვებისა, ზარალი—6,000 მ.

3. მაღაზია რკინეულობისა გ. გორდაძისა და ს. წერეთლისა, ზარალი 1000 მ.

4. მაღაზია რკინეულობისა დ. კუპარაძისა, ზარალი 2500 მ.

5. მაღაზია საათებისა, ოქროს და ბრილიანტების ნივთებისა ძმ. ვოლოხებისა, ზარალი 15,000 მ.

6. ვორონცოვის ქუჩაზედ—საწერილმანო დუქანი რ. გარინიშვილისა, ზარალი—1000 მ.

7. ტყავის დუქანი ა. ყაზაროვისა.

8. ტყავის დუქანი დ. ყაზაროვისა.

9. ბაზრის ქუჩაზედ—აზიური მაღაზია ი. ხაზარიძისი—3,000 მ.

10. აზიური სახელოსნო ისაკა გაბუნიასი—300 მ.

11. პურქლის მაღაზია ი. წულუკიძესი—1146 მ. 70 კ.

12. აზიური სახელოსნო ს. ტყეშელაშვილისა—300 მ.

13. აზიურ ქუდების სახელოსნო ა. სანიკიძესი და წაღებისა—გ. ბაბუნაშვილისა—600 მ.

14. გალანტერიის მაღაზია ი. აივაზოვისა—400 მ.

15. აზიურ შალის მაღაზია ი. ამირაღოვისა—700 მ.

16. სასმელების დუქანი დ. ასლანიძისა—150 მ.

17. მანუფაქტურის მაღაზია სიმ. ქეიშვილისა—გატაცებულია საქონელი 40,000 მან. და თამასუქები 1000 მანათისა. მაღაზიაში გაჩხრეკის დროს ნაპოვნია დატოვებული გამძარცველებისაგან სალდათის ქუდი წითელის სარტყელით (ОКОЛЫШЪ) № 129, პატრონა სამ ხაზიან ვინტოვკისა და სათუთუნე.

18. მანუფაქტურის და გალანტერიის მაღაზია დ. თავდიშვილისა: გატაცებულია საქონელი 4000 მანეთისა, თამასუქები და აღმასრულებელი ფურცლები 2000 მ. მაღაზიაში არის ნიშნები ცეცხლის წაკიდების განზრახვისა. გაძარცვის მოწმე ვ. ფურცხვანიძე ნაცემია გამძარცველებისაგან.

19. მანუფაქტურის მაღაზია მ. თავდიშვილისა.

20. გალანტერის მაღაზია მ. ხანანაშვილისა.

21. მანუფაქტურის მაღაზია შ. გაბურაშვილისა—ზარალი 4000 მ.

22. მანუფაქტურის მაღაზია ა. ელიგულაშვილისა.

23. აზიურ ქუდების სახელოსნო მიხ. კალატუზოვისა—300 მ.

24. ფეხსაცმელის სახელოსნო რ. ჯავახიძისა.

25. ფეხსაცმელის სახელოსნო ი. ფხაკაძისა—200 მ.

26. შალების მაღაზია ი. ა. ზურჯანაძისა—300 მ.

27. წაღების სახელოსნო ს. რუხაძისა.

28. აზიური სახელოსნო შ. მორჩიძისა—100 მ.

29. გიმნაზიის ქუჩაზე—ქურქის მაღაზია საბაევისა და ფილიპოვისა—20,000 მ.

30. მანუფაქტურის მაღაზია კირაკოზოვისა, ოჰანეზოვისა და ამხ. 50,000 მ.

31. მაღაზია საზოგადოების „Комп. Зингеръ“—გატაცებულია საკერავი მაშინა და სხვა ნივთები 15,000 მ.

32. სობოროს მოედანზე სახელოსნო და მანუფაქტურის მაღაზია ა. კოსტავასი. ზარალი—10,000 მ.

33. კათოლიკების ქუჩაზე ყაზახებმა გაძარცვეს სახლი ლეტიცია სტეფანეს ასულის ბაბუროვისა. გამოტეხეს ქუჩის კარები; გატაცებულია 30 მანეთის ნივთი. იმ ღამესვე გაძარცვეს და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს შემდეგი მაღაზიები: საკერავ მაშინებისა ნ. რაფაელოვისა—ზარალი 7000 მ. რაფაელოვის მაღაზიიდან ცეცხლი გადავიდა ი. კოგანის სახლზე, რომლის ქვედა სართულში იყო მოთავსებული იმისავე მაღაზია ოქროსი და ვერცხლის ნივთებისა და საათებისა, სარდაფ-ს სართულში კი იყო საწყობი საკერავ მაშინებისა ზ. ფეიქაროვისა. ყველა ეს განადგურებულ იქნა ცეცხლისაგან და მიაყენა კოგანს ზარალი 6,000 მ. და ფეიქაროვს 10,000 მ. აქედან ცეცხლი რიგრიგად გადავიდა ფ. ხელაძეს იქროულობის მაღაზიაზე და მ. ენუქიძის ფეხსაცმელის სახელოსნოზე, რომელნიც მთლად დაიწვნენ. ხელაძის ზარალი—7,300 მ., ენუქიძისა—1,100 მან. აქ ცეცხლის ჩამქრობ რაზმის მეცადინეობით ცეცხლი შეჩერებულ იქმნა ერთ ალაგას და აღარ გავრცელდა.

ვორონცოვის ქუჩაზე დაიწვა რკინეულობის მაღაზია რ. ფილიპოვისა, ზარალი 5000, მან.

34. სობოროს მოედანზე აგრეთვე ცეცხლის წაკიდების გამო დაიწვა სახელოსნო მკერავ ქალის ალექსანდრა ჰყონიასი. ზარალი 400 მან.

35. 26 იანვარს, საღამოს რვა საათზე, ცეცხლის წაკიდების გამო ორ ბლოკს ვორონცოვს და გიმნაზიის ქუჩის მხარეზე დაიწვა საკონდიტერო ს. სანიკიძისა, რომელიც მოთავსებული იყო ი. გველესიანის სახლის ქვედა სართულში. ამ სახლის ზემო სართულში მოთავსებული იყო ს. გუბერნიო მართველობის სამკურნალო და საალმშენებლო განყოფილებანი, რომელთა საქმეები და ავეჯეულობა სრულიად გადიბუგა ცეცხლისაგან. სანიკიძემ იზარალა—18,000 მან. რაოდენობა ზარალისა, რომელიც მოუვიდა სამკურნალო და საალმშენებლო განყოფილებებს, ჯერაც არ არის ცნობაში მოყვანილი.

36. დაიწვა აგრეთვე სადალაქო ს. კაკაბაძისა, რომელიც იყო სანიკიძის საკონდიტეროს გვერდით. ზარალი 300 მან.

მამული გველესიანისა დაგირავებულია ტფ. სათავად-აზნაურო ბანკში 22,000 მან. და დაზღვეულია 18000 მან.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი შენობანი, სავაჭრო სახლები, მანამ ცეცხლს წაუკიდებდნენ, გაძარცულ-დარბეულ იქმნა. თვით დაზარალებულთა, აგრეთვე შემთხვევითი მოწმების და ღამის დარაჯების ჩვენებით, ცეცხლი წაუკიდეს და დაარბიეს მაღაზიები და დუქნები ჯარის-კაცებმა, რომელთა შორის მომეტებულ ნაწილს შეადგენდნენ ყაზახები და ქვეითა ჯარის კაცები თეთრი „ოკოლიშებით“. ეს შემთხვევა ემცნო ქუთაისის პირველ ნაწილის გამომძიებელს, აგრეთვე პროკურორს. ზემოხსენებულს ვაცნობებ თქვენს აღმატებულებას.

პოლიცმეისტერის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ტერ-აქტონოვი“.

ქუთ. პოლიცმეისტრის რაპორტი გუბერნატორის სახელზე, 661: „14 ამა თებერვალს, დილის 3 საათზე, 6 უცნობი პირი, ტყავებში (პოლუშუბკა) გამოწყობილი და ვინტოვკებით შეიარაღებული, შევიდა იოსებ ერიკოვის სახლის ქვედა სართულში ტფილისის ქუჩაზე, სადაც სცხოვრობდა ქუთაისის მოქალაქე გრიგორ ბესარიონის ძე ჩხეიძე თავის უკანონო ცოლით, ქუთაისის მაზრის სოფ. ბაღდადის მცხოვრებ ანნა ოტიას ასულის ბაღდავაძითა. შესულებმა დაუწყეს ჩხრეკა სახლს და, როცა არაფერი ნახეს, წინადადება მისცეს ჩხეიძეს და ხიმშიაშვილს, ჩაეცვათ და გაჰყოლოდნენ, რადგან ისინი, როგორც პოლიტიკურად არა საიმედო კაცებად ცნობილნი, უნდა წარედგინათ პოლიციის ნაწილში; მაგრამ გზაში ზემოდ დასახელებულნი ჩხეიძე და ხიმშიაშვილი მოკლულ იქმნენ“.

ქუთ. მაზრის უფროსის რაპორტი გუბერნატორის სახელზე, № 333: „8 თებერვალს, 12 უცნობი პირი, ყაზახების ფორმაში გამოწყობილი, შევარდა შვეიცარიის მოქალაქე ქალის მართა დანიელის ასულის ჟუკსის სახლში. შევარდნილთ დაამტვრიეს კამოდი, შკაფი და ზანდუკი, ამოიღეს იქიდან 500 მან. ღირებული სხვა და სხვა ნივთები და მიიმალნენ. ქ-ნ ჟუკსის მოსამსახურეები, დამსწრენი ამ ამბისა, ამბობენ, რომ მძარცველები იყვნენ ჩაცმულნი ჩოხა-ახალუხში პაგონებით, ბოხოხებში და ლაპარაკობდნენ რუსულადაო. ამიტომ მოსამსახურენი ამტკიცებენ, რომ მძარცველები იყვნენ ყაზახები, მაგრამ რომელი პოლკისა, ვერ გაურჩევიათ. საქმე გადაცემულია გამომძიებელზე“.

ქ. ქუთაისის პოლიცმეისტრის რაპორტი გუბერნატორის სახელზე, 15 თებერვალს, № 600.: „12 იანვარს, ორპირის ქუჩაზე, ქ. ქუთაისში, ყაზახებმა დასჭრეს პოლიციელი სულაძე. ყაზახები იყვნენ პირველ ხოპერის პოლკის ჯარის კაცნი—ივანე ულრიაგოვი და ექვთიმე პისტული (ასე დაასახელეს მათ თავიანთი თავი). ამ გვარების ყაზახები არ აღმოჩნდნენ, მაგრამ იმათ ადვილად იცნობენ პირისახითა: სულაძე, მინადორა უთქელაძე, სოფიო ანდრუსოვისა, ივანე იოსელიანი, მიხეილ ბაქრაძე და უფროსი პოლიციელი წყალ-გაღმა ნაწილისა სამსონ ფხაკაძე. საქმეს იკვლევს მეორე განყოფილების გამომძიებელი“.

შორაპნის მაზრის უფროსის რაპორტი გუბერნატორის სახელზე, 24 თებერვალს № 527: „19 თებერვალს, ჭიათურის ბოქაულის მიერ დაპატიმრებული ადამ ქუმბურიძე გამოწვეულ იქმნა ხოპერის პოლკის მე-6 სოტნის კამანდირის მიერ. გამოკითხვის შემდეგ გაგზავნილ იქმნა ჭიათურის სამრეწველო მმართველობაში და თან გააყოლეს ჯარის კაცები. გზაში აპირებდა გაქცევას და მოკლულ იქმნა“.

ქუთაისის მაზრის უფროსის რაპორტი გუბერნატორის სახელზე 1 მარტს 1906 № 544, „6 თებერვალს ხუთმა ყაზახმა, ვითომდა გასაჩხრეკად მისულმა, გაძარცვეს და წაართვეს ფული და ავეჯეულობა სოფ. ბანოჯის გლეხებს: ჩოგავაძეს და კოგუაშვილს. საქმე გადაეცა ქუთაისის გამომძიებელს.“

ქუთაისის პოლიცმეისტრის რაპორტი გუბერნატორის სახელზე, 4 თებერვალს 1906 წ. № 439. „31 იანვარს, დილის ოთხ საათზე, ყაზახებმა გაძარცვეს ვაჭარი ვასილ მალანია, გაძარცვის შემდეგ სასიკვდილოდ დასჭრეს. ყაზახი იყო 12 კაცი. ფულად წაართვეს სულ 500 მანეთი, მალანიას სახლში იპოვნეს ყაზახის მათრახი, ეზოში რკინის ჯოხი, რომელზედაც ნავთით გაჟღენთილი ჩვარი იყო. ერთი ბოძი, რომელზედაც სახლი დგას, გარუჯული იყო.“

ქუთაისის მაზრის უფროსის რაპორტი გუბერნატორის სახელზე 30 იანვარს 1906 წ. № 196: „10 იანვარს ყაზახებმა დასწვეს სად. რიონთან დუქანი და ფურნე ბაღდადის მცხოვრების სიპიტო ჯაფარიძისა. 14 იანვარს ყაზახებმა დასწვეს სად. კოპიტნარის მახლობლად 4 დუქანი: მ. ნიკაბაძისა, ფხაკაძისა და ქორქაშვილისა; ერთი სახლიც სტეფანე და ოქროპირ ნიკობაძეებისა. ამათ სახლში ხისა და რკინის სამეურნეო იარაღი ეწყო“.

სენაკის მაზრის უფროსის რაპორტი ქუთაისის გუბერნატორის სახელზე, 6 თებ. 1906 წელს № 12. „28 იანვარს ახალ სენაკში დაიწვა 45 დუქანი. სენაკის მაზრის სამხედრო ბეგრის საკრებულოს უფროსის, პოდპოლკოვნიკის ქივოპისცევის ჩვენებით, დუქნებს ცეცხლს უკიდებდნენ და სძარცვავდნენ ლაბინსკის პოლკის ყაზახები და მსროლელთა კავკ. მე-4 ბატალიონის სალდათები. ამასვე მოწმობენ აზნ. გვამია და პოლიციელები სახლიშვილი და ჩხეიძე. პოდპოლკოვნიკ ქივოპისცევის ჩვენება: 27 იანვარს ღამე, ცულებით სტეხდნენ დუქნებს ყველა ქუჩებზე და ამავე დროს ცეცხლიც გაჩნდა. ამის მოქმედნი იყვნენ ხსენებული ყაზახები და სალდათები, რომელნიც არავის ნებას არ აძლევდნენ ცეცხლის ჩაქრობისას და ემუქრებოდნენ ყველას: თოფს გესვრით თუ ცეცხლის ჩაქრობას გაბედავთო. მცხოვრებთაგან არავის წინააღმდეგობა არ გაუწევია. რაკი ყველაფერი ეს დავინახე, მაშინვე მივედი ლეიბ-გრენადერის ერევნის მე-13 პოლკის უფროსთან, პოლკოვნიკ თავ. ერისთავთან, და ვთხოვე მიეღო ღონისძიებანი ჯარის წინააღმდეგ. თავ. ერისთავმა თავის მხრით აცნობა ყველაფერი „ატრიადის“ უფროსს პოლკოვნიკ ხოძინსკის, რომელმაც გაგზავნა ორი პატრული აფიცრებით, რათა ელონათ რამე უკანონო მოქმედებათა წინააღმდეგ“.

ქუთაისის გუბერნიის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ აცნობა გამომძიებელს შემდეგი შემთხვევები: „1. ქუთაისის გაღმა ნაწილის ბოქაულმა 19 იანვარს აცნობა გამომძიებელს, რომ ქალაქში სალდათებმა გაძარცვეს პანტიუხოვის და კოდვას საწყობი“.

„2. 24 იანვარს ყაზახებმა აიკლეს სამი დუქანი საფიჩხიაში: არხიპო ჰეჰიაძისა, სამსონ იობიძისა და ოსმალეთის ქვეშევრდომის ე. კასანდოპულოსი. ზარალი ორას მანეთამდეა“.

„3. 25 იანვარს ქ. ქუთაისში პლასტუნები და სალდათები მე 39 დივიზიისა დაეცნენ ელიაშვილის სახლს, წაიღეს ფული და ავეჯეულობა“.

„4. 25 იანვარს პოლტავის პოლკის 5 ყაზახი იულო ხეჟერელის სახლს დაეცა; სახლის პატრონი გაძარცვეს და დასჭრეს“.

„5. 25 იანვარს ს. კახიანაურში (ქუთ. მაზრა) ყაზახებმა გაძარცვეს მცხოვრებნი“.

„6. 26 იანვარს მესხეთის ქუჩაზე სალდათებმა გაძარცვეს დიმიტრი მელაძე; ძველ ხონის გზაზე სალდათები დაეცნენ თევდორაძის სახლს; ალექსანდრეს ქუჩაზე სალდათებმა გასტეხეს მელიაშვილის დუქანი, ორპირის ქუჩაზე—კოდვას ღვინის საწყობი“.

„7. 24 იანვარს ყაზახებმა და სალდათებმა, რიცხვით 60 კაცმა, გაძარცვეს იაკოფ კშონზერის ტყავის მაღაზია—ბაზრის ქუჩა. მოწმეები არიან ღამის ყარაულები: სერაფიონ ძოწენიძე, ი. კანდელაკი და სერაფიონ ჯანგაველე“.

„8. 27 იანვარს ყაზახებმა გაძარცვეს სერგია კრიაშჩევის მაღაზია და წაიღეს რვა ათას მანეთის საქონელი“.

„9. 29 იანვარს ყაზახებმა გაძარცვეს ისრაილოვის მაღაზია. მოწმეა ღამის ყარაული ტურაშელიძე“.

ეს რამდენიმე ოფიციალური რაპორტი ამოწმებს ჩვენ მიერ დაბეჭდილ ამბების სინამდვილეს და ბ-ნ ტფ. გენ.-გუბერნატორის საქმეა ეხლა ირწმუნებს თუ არა, რომ ჩვენს გაზეთში აღნიშნული „უწესო მოქმედებანი იქ მომქმედ ჯარისა“ ცილის წამება არა ყოფილა... ვნახოთ ეხლა რას ამბობენ და რას გვაწვდიან ის ორიოდე დაზარალებული და ორიოდე მოწმე რომელთაც გაბედეს და ცოტა რამ გადმოგვცეს გამოსაქვეყნებლად!..

„დაბა საჩხერეშიაც გავიგეთ, რომ, გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ 7 დღის განმავლობაში უნდა დაამტკიცოს ის, რაც აღნიშნულ გაზეთში ჯარისა და ყაზახების მოქმედების შესახებ დაიბეჭდა. სასიამოვნოა ეს გამოწვევა, რადგან შემთხვევა გვეძლევა უფრო ვრცლად და დაწვრილებით აღვნუსხოთ ის საშინელება, რომელიც ჩვენ განვიცადეთ ამ ცოტა ხანში. რადგან ბევრი დრო არ მიეციათ, ნაჩქარეულად შევკრიბეთ და გიგზავნით ისეთ ფაქტებს, რომელთა დარღვევა და გაბათილება თორმეტ დიუიმიან ზარბაზნების ყუმბარებსაც არ შეუძლია. იმ ფაქტებს, რასაც აქ მოვიყვანთ, გამოკითხვის დროს ათასობით შეამოწმობენ ადგილობრივ მცხოვრებნი. ხაშურისა, ბელოგორისა და ზესტაფონის გადაწვას ამბები უნდა ეკითხოს ადგილობრივ მცხოვრებთ; ზესტაფონის გადაწვას მოწმენი არიან თვით მაზრის უფროსი ბ-ნი ტატიშვილი, მისი მოხელენი და სხვა და სხვა დაწესებულების მსახურნი, აგრეთვე მცხოვრებნი. ზესტაფონში არც ერთ მოხელის საცხოვრებელ სახლს ცეცხლი არ მოეკიდებია, რადგან თვით მაზრის უფროსი და სხვა მოხელენი გამოდიოდნენ და უშლიდნენ ცეცხლი წაეკიდებინათ დაბის იმ ნაწილებისათვის, სადაც მოხელენი სცხოვრობდნენ. ვისაც მოხელეთაგან ოდნავი მოქალაქობრივი გრძნობა შერჩენია, უნდა სჯეროდ სთქვას, ვინ დასწვა ამოდენა დაბა. საჩხერეში 12 იანვარს, დილით ამოვიდნენ პლასტუნები და ჯარის-კაცნი. ჯარს საჩხერის ბოლოში მიეგებნენ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფი თავ. ს. გ. წერეთელი და სხვანი, სთხოვეს ხალხი არ დაეწიოკებინათ. ამასთან გამოუცხადეს თუ ჯარი მოითხოვს რამეს, შეძლების დაგვარად ავასრულებთო. უფროსმა სამი საათის ვადა მისცა, ამ ვადის განმავლობაში წარმოედგინათ თოფები, პროპაგანდისტები, რაზმელები, ზესტაფონის ხაზინიდან გატაცებული ფული და სხვა. რადგან სამი საათის განმავლობაში შეუძლებელი იყო ამ მოთხოვნილებათა ასრულება, ჯარი 12 საათზე მიადგა საჩხერის მცხოვრების გიორგი გაფრინდაშვილის სახლსა და დუქანს და ცეცხლი მოუკიდა. ამგვარადვე ცეცხლი გააჩინეს სამგან. სრულიად გადასწვეს საცხოვრებელი სახლი და სავაჭროთი და ნივთეულობით შემდეგ პირებისა: დიმიტრი ქებაძისა (10,000 მან. ზარალი), ანტონ თუშიშვილისა (ზარალი 7000 მან.), პლატონ ქებაძისა (1000 მან.), კარაპეტ კოლოევისა (1500 მან), გიორგი გაფრინდაშვილისა (3000 მან.), ვასილ ჯოხაძისა (700 მან.), ნესო დუშუაშვილისა (6000 მ.), მაქარ კალოევისა (1500 მ.), ქონია თუშიშვილისა (4000 მ), ელპიტე თუშიშვილისა (1500 მ.), სოლომონ ფარქოსაძისა (6000 მ.), დარჩოს ქვრივისა (600 მ.), ელიზბარ ქებაძისა (5000 მ.), ელისაბედ ქეჩაიძისა (7000 მ.), სპირიდონ ყიფიანისა (5000 მ.), ვანო ბეგალოვისა (5000 მ.), მღ. ეპიფანე აბრამიშვილისა (3000 მ.) და უფლისა გძელიშვილისა (5000 მან. მეტი). ჯარს და ყაზახებს გამოეყო ერთი ნაწილი და გადავიდა ქორეთის საზოგადოების სოფელ კალოთას, სადაც საჩხერელ ვაჭრებს კოსტა და ნიკოლოზ გაჩეჩილაძეებს გლეხების სახლებში დაებინათ 23,000 მანეთის სავაჭრო საქონელი. ყაზახებმა მიუკიდეს ცეცხლი და გადასწვეს რამდენისამე გლეხის სახლი და ეს ამოდენა საქონელი ცეცხლმა გაანადგურა. თუ ვინ გაძარცვეს და ვის რა წაართვეს, უნდა ეკითხოს ამ სოფლის მცხოვრებთ. თუ როგორ გააჩინეს ცეცხლი საჩხერეში, უნდა ეკითხოს ადგილობრივ ბოქაულს ალხაზიშვილს, თვით განადგურებულ და საცხოვრებელ გადამწვარ მცხოვრებთ და აგრეთვე შემდეგ პირთ, რომელნიც ცეცხლის მოკიდებას დაესწრნენ. ესენი არიან... 1) ეს უკანასკნელი ცეცხლში იწვოდა და ძლივს გადაარჩინეს. ამავე დღეს, 12 იანვარს, სოფელ დუნთასავიდა 8 პლასტუნი, ცეცხლი მისცა და გადასწვა მღ. ლავრენტი წერეთლის სახლი. სახლის პატრონმა ბავშვებიანად და ავადმყოფ ცოლით ძლივს გაასწრო. ამას დაამტკიცებენ ს. დუნთის მცხოვრებნი. ამავე დღეს საჩხერეში მოჰკლეს ორი კაცი. 12 იანვარს საღამოთი დაბრუნდა ჯარი ყაზახებითურთ, რომელთაც მეორე დღეს, 13 იანვარს, დილით, სოფელ დარკვეთში ჩაიარეს და გადასწვეს: გარსია, საჩინო, ივანე, ვასილ და გოგია ჰიმკარიანები. აქვე გადასწვეს ბერია, ილიკო, ილარიონ, უფლისა, ივანე, ნარიმან და ალექსი ღულუნიშვილები. ამას შეამოწმებენ დარკვეთის მცხოვრებნი...[2]) 13 იანვარს გავიდნენ სოფელ ხალიფაურში და გადასწვეს სამი კომლი კაცი გაფრინდაშვილები, ჰიოტაძე და მასხარაშვილი. ამ სოფელში აღნიშნულ დღეს მოჰკლეს სამი კაცი.*) შემდეგ საჩხერეში ჩააყენეს საპიორთა ყაზახის პოლკის სოტნა ესაულის მეთაურობით. ამის შემდეგ ყაზახები ხორუნჟის მეთაურობით ხშირ-ხშირად დადიოდნენ სოფლებში. სოფელ სარეკში 18 თებერვალს გადასწვეს გლეხების ლავრენტი და ოქროპირ ყარამანის ძეთა აბრამიშვილების სახლი და სხვა საცხოვრებელი. სოფ სარეკმა მოთხოვნილებისამებრ ყაზახებს წარუდგინა ოქროპირის ძმის წული პავლია აბრამიშვილი, როგორც ვითომ წითელ რაზმის წევრი. პავლია გამოუშვეს იმ აზრით, რომ თოფები მიეტანა. პავლია მეორედ აღარ გამოცხადდა და სადღაც მიიმალა. სოფელს დაუნიშნეს ვადა, მოგვიყვანეთ გაქცეული, თორემ გაგანადგურებთო. გლეხებმა ვერა მოახერხეს რა, არ იცოდნენ, სად გადაიმალა პავლიაშვილი. გადასწვეს აბრამიშვილების სახლი. დაწვის მოწმენი არიან... 3) ფაქტს შეამოწმებს აგრეთვე 60 კომლი კაცი სოფ. სარეკის მცხოვრები. 13 თებერვალს გადასწვეს სოფელ მერჯევის მცხოვრები დათიკო კირვალიძე, რომელ ფაქტსაც ამტკიცებს შემდეგი საბუთის ქაღალდი, მნახველთა მიერ ხელმოწერილი:

„1906 წელს, მარტის 20-სა დღესა, ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი, მცხოვრებნი სოფელ... მოწმენი ვართ დათიკო ლუარსაბის ძის კირვალიძის სახლ-კარობის გადაწვისა და გარეშემო მეზობლად მცხოვრებ გლეხების დაწიოკება გაძარცვისა, რაც შეგვიძლია ფიცითაც დავამტკიცოთ. ყაზახები, ათ კაცამდის, როგორც შემდეგ შევიტყეთ ხაპიორის ყაზახთა პოლკისა, ამოვიდნენ 13 თებერვალს დილით, ასე ცხრა-ათ საათზედ, შევიდნენ დათიკო კირვალიძის სახლში, გამოიტანეს მოკიდებული ნაგუზალი და მისცეს ცეცხლი სახლს, რომელიც ჩალით იყო დახურული. უყველიყვე, რაც-კი რამ გააჩნდა კირვალიძეს, გადაიწვა. მისმა მეუღლემ ვერამ მოასწრო სხვილად ორი-სამი ბალიშის და ძუძუთა ბავშის აკვნით გატაცება. ცეცხლის მოკიდება მოუნდომეს ყარამან კირვალიძის სახლსაც, მაგრამ რადგან აქვე დამსწრე ფილიმონ სამხარაძემ დაარწმუნა, რომ სხვისი სახლი იყო, ცეცხლი აღარ მოუკიდებიათ. თუმცა ყარამანის სახლში მაინც შევიდნენ და თუ რამე ადვილად წასაღები ნივთეულობა ნახეს, წაიღეს. აგრეთვე შევიდნენ ბესო გოგატიშვილისას, შემდეგ გარსია სამხარაძესთან, სვიმონ გოგატიშვილთან და იქაც გაჩხრიკეს და თუ რამ აღმოჩნდა წასაღები, წაიღეს. დათიკო კირვალიძის სახლის დაწვის შემდეგ ისეთივე დაწიოკება და შიში მოგვაყენეს, როგორიც 12 თებერვალს დაწვის დროს. 12 თებერვალს ამ უბნის მცხოვრებთა ქალებმა ბავშებიანად თავი შეაფარეს ბესო გოგატიშვილის სახლს, რომელსაც ყაზახები შემოერტყნენ და ხელში ჩაიგდეს ქალები ერთი საშინელი წივილ-კივილი გაისმოდა. როცა კაცები მივხვდით, რომ ყაზახები ჩვენის პატიოსნების და თავმოყვარეობის შელახვას აპირებდნენ, მივეშველეთ. თუმცა ქალები ხელიდან გავგდებინეთ, მაგრამ ჩვენ მათრახებითა და თოფის კონდახებით გვცემეს. ქალები მინდვრებში გაიქცნენ დასამალავად. ამ ფაქტებს გამოწმებთ...4)

აი, მეორე ხელმოწერილი საბუთის ქაღალდიც:

„1906 წელსა, მარტის 19-სა, დღესა ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი ვამოწმებთ ჩვენის ხელის მოწერით და შეგვიძლია დავამტკიცოთ ფიცის მიღებითაც, რომ ამა წლის 13 თებერვალს მცხოვრებს ჭიათურის საბოქაულოს ქორეთის საზოგადოების სოფელ ივანწმიდისას...5) დილით, ასე თორმეტ საათზე, სახლში შეუვარდა ამ ჟამად საჩხერეში მდგომ ხაპიორის პოლკის სოტნიდან ორი ყაზახი და დაუპირეს ამას ოჯახობას თავზარ დაცემა ზნეობრივი შეწუხება. რადგან მაზუმანს გამო ამ დღეს, არ ვიცით ვისის განკარგულებით, ცეცხლი მოუკიდეს და დასწვეს მერჯევს მცხოვრები დათიკო კირვალიძე. როდესაც უკან დაბრუნდნენ და სოფელ ივანწმიდას ჩამოიარეს, ათ ყაზახს ცუდის განზრახვით სოფელ ივანწმიდის ბოლოზე ჩამორჩა სამი ყაზახი; ზემოხსენებულ კაცის სახლთან, დობეზე ცხენები მიაბეს, ერთი ამ ცხენებთან დარჩა, ხოლო ორი გადავიდა ეზოში და მივიდა სამზარეულო სახლში, სადაც ამ დროს იყო მეუღლე ოჯახის პატრონისა. ერთი მათგანი შევიდა სახლში და ერთიც კარებთან დადგა. როგორც შემდეგ გავიგეთ თვით ქალისაგან, სამზარეულოში შესულ ყაზახს დაუპირებია ძალადობის ხმარება მასზე ადამიანურ ღირსების შესალახავად, ამ განზრახვით ყაზახს სამზარეულოს კარები ჩაუკეტავს და ის იყო უნდა შესდგომოდა თავის განზრახვის სისრულეში მოყვანას, რომ თავზარ დაცემული ქალი ფანჯარაში გადამხტარა ძუძუწოვარა ბავშვით. ამავე დროს იმისი მეუღლე სამუშავრიდან მოვარდა და მაინდამაინც სახლში შევარდა. იმ ყაზახმა, რომელიც კარების შესავალს იცავდა, მოუღერა თოფი და შესძახა, არ გაბედო შესვლა, თორემ ეხლავ გაგათავებთო. ამ დროს ქმარს შეუმჩნევია, რომ იმისი ცოლი ფანჯრიდან გადახტა. შეშინებული ქალი ბავშვიანად გარბოდა იქვე თავის ნათესავის სახლისკენ. ამის შემდეგ ყაზახებს გაუდიათ უთო, ფულად ამოუღიათ ოთხი მანეთი, ვერცხლეული და ამ ნადავლით საჩხერისაკენ გამგზავრებულან. დავესწარით და მნახველნი ვართ ამ ამბისა...“6).

16 თებერვალს დაჩხრიკეს, ხოლო 24 თებერვალს გადასწვეს როსტომ იაშვილის საცხოვრებელი, 10,000 მან. ღირებული. წვრილ ცოლ-შვილიან კაცს აღარაფერი შერჩა თავის შესაფარებლად. აი ხელმოწერილი საბუთი ამის შესახებ:

„1906 წელსა, თებერვლის 16 დღესა საჩხერიდან სოფ. არგვეთაში გამოვიდა იქ მდგომი ხაპიორის ყაზახთა პოლკის ნაწილი, ასე ოცდაცამეტ ყაზახამდე თავიანთ უფროსის მეთაურობით, ადგილობრივ ბოქაულის ბ. ალხაზიშვილის თანდასწრებით, ალყა შემოარტყეს ჯიბო და იოსებ იაშვილთა შვილების როსტომ და ვლადიმერ იაშვილების სახლებს. ბოქაულმა ბ. ალხაზიშვილმა (ამ დროს უკვე ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა) გაალვიძა როსტომი და ჰკითხა, შენი ძმა ვლადიმერი სად არისო? რადგანაც როსტომისაგან პასუხი მიიღეს, რომ მან არ იცოდა თავის ძმის სადმყოფნი, უფროსმა ბრძანება მისცა ყაზახებს, შესულიყვნენ სახლში და საჩხრეკათ ვისაც ეძებდნენ, ვერ ნახეს, მაგრამ ყაზახებმა თუ რამე მოახელეს, როგორც როსტომისა, აგრეთვე ჯიბოს სახლში, ყველაფერი წაიღეს. წასვლის დროს უფროსმა წინადადება მისცა როსტომს, რომ თუ სამი დღის განმავლობაში შენი ძმა ვლადიმერი არ მოგვიყვანიაო, გადაგწვავთ და შენი ოჯახობით გაგანადგურებთო. მართლაც გამოვიდნენ ოთხი დღის შემდეგ, 21 თებერვალს, მოუკიდეს ცეცხლი (ასე დილის ათი საათი იქნებოდა) და გადასწვეს სახლი ყოვლითავე ავეჯეულობით, სულ 6000 მანეთისა. გადაიწვა: სასიმინდე, ბეღელი, მარანი, თავლა, სამზარეულო და საბძელი. სახლი და ყველა ნაშენი ცეცხლის ალში იყო გახვეული, რომ ამ დროს მოვიდნენ მღვდელი გრიგოლ და მიხეილ მაჭავარიანები. ამ უკანასკნელმა ყაზახების უფროსს სთხოვა, განადგურებულ ოჯახის პატრონის თავშესაფრად საბძელი მაინც დაეტოვებინა, მაგრამ არავის მუდარამ არ გასჭრა და ისიც გადასწვეს. დაწვის დროს პატრონს არაფერი არ გადაურჩენს და რაც მოახელეს, ამ დღესაც ბევრი ნივთეულობა წაიღეს. ყოველივე ამას მნახველნი და როსტომ და ვლადიმერ იაშვილების მთელ საცხოვრებლის განადგურების მოწამენი ვართ და ჩვენი ხელმოწერით დავამტკიცებთ... 7) აქ აწერილ ამბის ვითარება იციან აგრეთვე სოფელ არგვეთის მცხოვრებთ...8)“

„ცნობის ფურცლის“ ერთს ნომერში აწერილი იყო ამბავი ჭიათურაში მდგომ ხოპერის ყაზახთა პოლკის ყაზახების გამასპინძლებისა სოფელს კაცხში თავ. ლოლიძესთან. იქვე მოხსენებული იყო, რომ რამდენიმე ყაზახმა ლოლიძის სახლის მახლობლად ხელში ჩაიგდო ობოლი ქალი, გასათხოვარი, 18—19 წლისა. ეს ქალი შვილია აწ უკვე გარდაცვალებულ ...ძისა.9) ამ ამბის მნახველნი არიან...10) დედას გულეშილ ყაზახების ხელიდან ქალი ვეღარ დაუხსნია. შემდეგ მას მიჰშველებია ყაზახთა აფიცერი და ქალი პატრონისათვის დაუბრუნებიათ.

„აი კიდევ რა ამბავი მოხდა 12 მარტს, ასე ნაშუადღევის 4 საათზე, სოფელ რკვიაში. რკვიის სადგურზე ჩამოხტა სათადარიგო აფიცერი11) თავის მეუღლითურთ. აფიცერასოფ-

---

1) მნახველთა და მოწმეთა გვარები ხელთა გვაქვს. აქ ამ გვარებს ვერა ვბეჭდავთ ადვილად გასაგებ მიზეზისა გამო. როდესაც საქმე სასამართლოში გადავა, მოწმეებს დავასახელებთ და წარვუდგენთ კიდეც სასამართლოს. რედ.

2) ამათ გვარებს ვერა ვბეჭდავთ იმავე მიზეზით.

3) მოწმეებს სასამართლოს წარუდგენთ. რედ.

*) მოკლულთა და დაჭრილთა შესახებ მთელს დაზარალებულ საქართველოში აქ არაფერს ვწერთ, რადგან მათი სწორი რეგისტრაცია მხოლოდ ოფიციალურის საშუალებით შეიძლება. რედ.

4) ხელი უწერია ათ კაცს. ამ მოწმეებს სასამართლოს წარუდგენთ. რედ.

5) გვარის დაბეჭდა შეუძლებლად ვიცანით. რედ.

6) ხელს აწერს ცხრა კაცი. ამათ გვარებს სასამართლოს წარვუდგენთ. რედ.

7) ხელი უწერია ხუთ კაცს. ამ მოწმებსაც სასამართლოს წარვუდგენთ. რედ.

8) ჩამოთვლილია გვარები. რედ.

9) ორიგინალში სრული გვარია აღნიშნული. რედ.

10) მოწმეებს სასამართლოს წარვუდგენთ. რედ.

11) როგორც ამას, ისე ქვემოდ დასახელებულთა გვარებს ვერა ვბეჭდავთ და თუ საჭირო იქნება, სასამართლოს წარვუდგენთ. რედ.

...ლის სასწავლებლის მასწავლებელთან....... ერთად მიდიოდა..... სოფლის მღვდელთან. როდესაც მგზავრები გადასულან რკვიის ლელეში, შეუჩნევიათ სამი ყაზახი, რომელთაც სოფლიდან ჩაუთრიათ ხევში ამ სოფლის ცხოვრების .... მეუღლე და შესდგომიდნენ თავიანთ განზრახვის ასრულებას. როგორც მნახველთ შეუნიშნავთ, საწყალს ქალს დიდხანს ებრძოლნა. ბოლოს სამ კაცს დაუძლიათ და წაუქციათ. მნახველნი იმ დროს წასდგომოდნენ თავს, როცა ორს ქალი გაკავებული ეჭირა, ხოლო მესამე პირუტყვობისათვის ემზადებოდა. როცა ყაზახებს თვალი მოუკრავთ აფიცრისთვის, ქალი მიუტოვებიათ და გაქცეულან. ქალი ჩავარდნია მუხლებში აფიცერს და ქვითინით უთხოვნია: მიშველე, გადამარჩინე ამათ ძალადობასაო. აფიცერს ქალი წაუყვანია და რკინის გზის ლიანდაგზე ერთის მებუტკისთვის მიუბარებია. შემდეგ ქალს პატრონები გამოსჩენიან და წაუყვანიათ.

„ამაზე უფრო შემაძრწუნებელი ძალმომრეობა მოხდა საჩხერის საბოქაულოს არაგვეთის საზოგადოების სოფელს დუნევში. ღამე თავს დაესხნენ გასაჩხრეკად ამ სოფლის მცხოვრებს მათე ხარშილაძეს. აწამეს თვით მათე, ხოლო იმის მეზობლის ქალი......12), რომელიც იმ ღამეს მასთან სტუმრად იყო, გააუპატიურეს. ბევრის ტანჯვით დაავადმყოფებული ქალი სოფელ კორბოულში წაიყვანეს საქიმოდ. ქალის გაუპატიურებას ადასტურებს... 13) ამასვე შეამოწმებენ ახლო-მახლო მცხოვრებნი.

სოფელ თვალუეთის ერთმა მცხოვრებმა შეგვატყობინა, რაც დაამოწმეს მღვდლებმა..14) რომ სოფელს ბოსლევში მარტის შუა რიცხვებში შევარდნილან ყაზახები ამ სოფლის მცხოვრებ უფლისა მახათაძისას. რა უყვეს მახათაძის მეუღლეს, ჯერ არ იციან, მხოლოდ ასეთს თავს დასხმას შედეგად მოჰყვა მახათაძის მეუღლის მაკრინეს ჭკუიდან შეშლა. გაგიჟებული ქალი ბოსლევიდან წაუყვანიათ სოფელ თვალუეთში მამის სახლში. ქალის მორჩენის იმედი აღარ არის. სოფელს ბოსლევში დარაჯები და ყაზახები შევარდნილან მიხეილ მულაძის და გიორგი მჭედლიძის სახლში. აფრ მერკვილაძეს უკან სდევდნენ. როცა ამათ გზათ გაუვლიათ ბოსლევში, 16 მარტს ჯარი შეჰვარდნია მცხოვრებთ. აღნიშნული გლეხები ძალიან შეშინებულან. შიშისაგან ლოგინად ჩავარდნილა მიხეილ მულაძე და რამდენისამე დღის შემდეგ გადაცვლილა კიდეც. მულაძეს გვამი 21 მარტს დაკრძალეს. გიორგი მჭედლიძე დღესაც ჭკუაზე ვერ მოსულა. ხანდისხან მთელს საათებს ბოდვაში ატარებს. ამ ამბავს მთელის ბოსლევის მცხოვრებნი ადასტურებენ.

თუ ეს საბუთები, თუ ეს ფაქტები საკმაო არ იქნება, მოგვეცენ მეტი დრო და დაუოლეველ ფაქტებს ათასობით მოგაწვდით. შესაძლებელია ყოველივე აქ მოხსენებული დამტკიცებულ საბუთად არ ჩასთვალიან. თუ ჩვენსას არ იღწმუნებენ, მაშინ მისცენ ნება პირუთვნელ სამართალს, გამოიძიოს და გამოიკვლიოს ყველაფერი.

ყველა ეს, როგორც ვთქვით, ამ სამ დღეში მოგვაწოდეს და მხოლოდ მკრთალი აჩრდილია იმისი, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა იანვრის შუა რიცხვებიდან დაწყებული. მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ყოველივე ეს ხდებოდა სწორედ იმ დღეებში როცა გენ. ალიხანოვი დეპეშით აცნობებდა კავკ. ნამესტნიკს სხვა და სხვა ადგილებიდან, რომ მცხოვრებნი წინააღმდეგობას არ უწევენ ჯარს, რომ ხალხი მორჩილებითა და სინანულით უხვდება ყველგანაო მორჩილება და სინანული და ამავე დროს ცეცხლითა და მახვილით დასჯა მთელის ქვეყნისა, დარბევა და გაუპატიურება! ბ-ნი ტფ. გენ.-გუბერნატორი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს იმ ცნობებს, რომელიც ქალების ნამუსის ახდას შეეხება და საბუთებს გვთხოვს. ცეცხლის წაკიდების, გაძარცვის და მოკვლის ამბების დამტკიცება ოფიციალურ საბუთებით აღინიშნება, რადგან სისხლის სამართლის კანონის ძალით პოლიციამ უთუოდ უნდა შეადგინოს ოქმები ამ შემთხვევათა შესახებ; ხოლო ქალის გაუპატიურება, თუ თვითონ დაზარალებულმა არ იჩივლა, პოლიციას ადვილად გამოეპარება. ჩვენი ხალხი, ჩვენებური ქალები ამ სისაძაგლეს ისეთ სამარცხვინო უბედურებად სთვლიან, რომ არა-თუ პოლიციას, თავის მახლობელთაც უმალავენ. ასეთ ბოროტმოქმედების შესაწყნარებლად მეზობლებიც არ გამოვლენ მოწმედ, რათა „საქვეყნოდ სახელი არ გაუტეხონ ქალს“. მოდი და ახლა, იმ საშინელ პირობებში, რომელშიაც დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი არიან, იშოვე მოწმეები ისეთ ფაქტების შესახებ, რომლის გამოქვეყნება ხალხს უდიდეს თავის დამცირებად მიაჩნია?!. რაც შეეხება კერძოდ შორაპნის მაზრიდან მოწერილს ამბავს, რომელსაც გენ.-გუბერნატორი აღნიშნავს და

12) გვარს ვერა ვბეჭდავთ. რედ.
13) მოწმეს სასამართლოს წარვუდგენთ. რედ.
14) მოწმეებს სასამართლოს წარვუდგენთ. რედ.

რომელიც „ნოვ. ობოზრ.“-ეს გადაუთარგმნია, იგი ზემოდ არის შემოწმებული მნახველთა და მოწმეთაგან და სრულიად ეთანხმება ჩვენს კორესპონდენციას; ხოლო „ნოვ. ობოზრ.“ს ცუდად გადმოუთარგმნია, რაც ჩვენი ბრალი არ გახლავს. მაგალითად, იმ კორესპონდენციაში ერთ ქალზეა ლაპარაკი, „ნოვ. ობოზრ.“-კი სთარგმნის—ბევრი ქალია გაუპატიურებულიო... *).

ოფიციალურ ფაქტებსა და მოწმე-დამსწრე-დაზარალებულთა ზემოდ აღნიშნულ ცნობებს უნდა დავუმატოთ, რომ მოგვივიდა სხვა და სხვა სანდო და წარჩინებულ პირთა და ცნობილ მოღვაწეთაგან წერილები და დეპეშები, რომლითაც გვატყობინებენ: მზადა ვართ ყველაფერი შევამოწმოთ, თუ საქმე **ნორმალურს პირობებში იქმნა ჩაყენებული**, ესე იგი, თუ სასამართლო დაგვიბარებს ან სენატის რევიზიის მოხდენას გადასწყვეტს მთავრობაო; ვისაც მართლა ჰსურს სინამდვილის და სიმართლის გაგება, ის გვერდს არ აუხვევს ნორმალურს გზასაო. აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ დეპეშას, ერთ წერილს და ერთ შემონათვალს:

1. კავკასიაში კარგად ცნობილი რუსი-ჟურნალისტი ორესტ სემინი მოსკოვიდან დეპეშით იტყობინება: „ეს არის, ეხლა წავიკითხე დეპეშებში მუქარა, რომლითაც ტფ. გენ.-გუბერნატორს მიუმართავს „ცნ. ფურცლისათვის“. ვამოწმებ, რომ მე თვითონ, ადგილობრივ (დასავლეთ საქართველოში), დავრწმუნდი, რომ ცეცხლის წაკიდება, ძარცვა-გლეჯა და ხალხის ხოცვა, ხაშურიდან ქუთაისამდე, სულ ჯარის მოქმედებაა. ამას შეამოწმებენ რუსი მოხელეები, მალაკნები, „სკაპცები“ და წარჩინებულნი მკვიდრნი“:

ბ-ნ ორესტ სემინმა თვითონ მოიარა აღნიშნული ადგილები და **თვით რუს მოხელეთა და რუს მცხოვრებთა** შეწევნით გაიგო ყველაფერი. წაიკითხეთ მისი აღმაშფოთებელი წერილები „ტფ. ლისტოკ“-ში და დავრწმუნდებით, რომ გენ.-გუბერნატორისათვის ეს წერილებიც გამოდგებოდა უტყუარ ფაქტებად.

2. ქუთაისიდან, სხვათა შორის, იწერება მანჯურიის არმიის სამხედრო ექიმად ნამყოფი ბ-ნი ვ. ბაქრაძე:*) „არ ვიცი, რა საბუთები უნდა ბ-ნს გენ.-გუბერნატორს, მაგრამ თუ იმისთვის მოწმეთა ჩვენებას რაიმე მნიშვნელობა აქვს, მზადა ვარ მე მოვალეობა ვიკისრო. თუმცა უზრუნველყოფილი არა ვარ, რომ ასეთ კადნიერებისათვის კარგ საქმეს არ დამაყრიან, რომ კავკასიიდან არ გამაძევებენ ან გზაშივე არ მომკლავენ, მაგრამ მაინც მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს სიმართლე ვაღიარო. ვერ დავმალავ, როგორ დათარეშობდნენ აღვირაშვებული ჯარები ქუთაისსა და სხვა ადგილებში; ვერ დავმალავ, რა მოუვიდა რაჭის მაზრას (ჩემ იქ ყოფნის დროს), როცა პოლკოვნ. გვარილოვი თავის „ეტრიადით“ ეწვია, როგორ გადასწვეს და გაძარცვეს **სრულიად უდანაშაულო ხალხი**; ვერ დავმალავ, რა საშინელი ტანჯვა და შეურაცხყოფა მიაყენეს ხალხს, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და არც უფიქრნია“...

ჩვენთან იყო სენაკიდან საგანგებოდ ჩამოსული კაცი, რომელმაც გადმოგვცა: თქვენ გემუქრებიან, თითქმის ჭორების ბეჭდვას გაბრალებენ. უცნაური ბრალდებაა. ჩვენ, სენაკელებს, შეგვიძლია ფიც ქვეშ დავამოწმოთ, რომ ბევრად უარესი დღე გაგვითენეს, ვიდრე გაზეთებში იყო აწერილი. თუ, კანონით, სასამართლო მოითხოვს ან უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი პიროვნება და ჩვენი ოჯახი, მზადა ვართ დავამტკიცოთ, რა უბედურება მოუვლინეს ჩვენს დაბასა და ახლო-მახლო სოფლებს ჯარებმა...

გავიხსენოთ, დასასრულ, რა წარმოთქვა ქუთაისის **თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე** თავ. დავით მიქელაძემ. ეს ხომ „მეამბოხეთა“ კრება არ იყო და ვეჭობთ, რომ თვით უსასტიკესმა გამომძიებელმა ერაფრად ჩასთვალოს თავადთა და აზნაურთა ოფიციალურ კრების ხმა. აი, სხვათა შორის, როგორ დახასიათა თავ. მიქელაძემ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა:

„უკანასკნელ ხანებში ჩვენს სამშობლოს ისეთი უბედურება დაატყდა, რომლის მსგავსს საქართველოს არ მოსწრებია თავის ხანგრძლივ წარსულში. როცა გამარჯვებული მტერი არბევდა ქალაქებსა და სოფლებს, სწყვეტავდა ხალხს და ქვეყანას ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა, მას წინააღმდეგობას უწევდა შეიარაღებული ქართველი ერი, ამ შემთხვევაში შემოსეულ ველურ ბრბოს პასუხიერება ადვილი გასაგები იყო, ამიტომ მორჩილების გამოცხადებასთან ერთად შემოსეული მტერი სპობდა დევნას და შურის ძიებას; ასე ექცეოდნენ საქართველოს დაუძინებელი მტერნი წინად, მაგრამ განა იგივეა ეხლა, როცა ჩვენ მტერი კი არა გვესხმის,

*) „ნოვ. ობოზრ.“-ე ამ ჟამად შეჩერებულია და ამიტომ ვამხელთ ამას; თავის დროზე უყურადღებოდ დავტოვეთ ცუდი თარგმანი, რადგან მოსალოდნელი იყო რეპრესიის გამოწვევა იმ გაზეთის წინააღმდეგ, რომელმაც გააზვიადა ჩვენი ცნობა.

*) მოგვყავს მხოლოდ ზოგიერთი ადგილი ამ საინტერესო წერილისა. რედ.

არამედ ის, ვინც იტვირთა ქვეყნის დამშვიდება, ხალხის მტრისაგან დაცვა და მოქალაქობრივ თავისუფლების შექნა?

მთელს ქალაქებს, დაბებს და სოფლებს ულმობლად ანგრევენ და სწვავენ, ხალხი თავს იფარავს მთებსა და ტყეებში და ვინც ამას ვერ ასწრობს, სასტიკად ისჯება—მამაკაცებს უწყალოდ სცემენ, ხოლო დედაკაცებს ნამუსსა ხდიან საქვეყნოდ.

გარდა იმისა, რომ კანონი და სამართალი აღარ არსებობს, მოსპობილია ეგრეთვე კაცთმოყვარეობა და მოწყალეობა იმ ხალხის მიმართ, რომელიც მორჩილებაში სულს ლაფავს“

ქალაქებსა და დაბა-სოფლებს ანადგურებენ, მცხოვრებთ ძარცვავენ და არბევენ, მამაკაცთ სტანჯავენ, დედაკაცთ ძალით ნამუსსა ხდიან; აღარ არსებობს არც კანონი, არც კაცთმოყვარეობა. ეს აღნიშნა თავადაზნაურთა კრებამ და დასძინა: მოვითხოვოთ ნამესტნიკისაგან გამოძიება, სენატის რევიზიაო. ამასვე ამგვარ საშინელებაზე ვწერთ ჩვენც ეს ორი თვეა და ვიმეორებთ ახლაც, რომ სინამდვილე უარესია და, თუ არა სჯერათ, დაინიშნოს ნამდვილი სამართალი, მოხდეს სენატის უსასტიკესი რევიზია და მაშინ გამოაშკარავდება, ვინ ამბობდა მართალს, „კავკაზ“-ის ოფიციალური დეპეშები თუ „ცნ. ფურცლის“ კორესპონდენცია-წერილები. თორემ გაზეთის დახურვა დღევანდელს პირობებში არავის გაუკვირდება და არც არავინ მიიღებს ამ გარემოებას იმის დამამტკიცებელ საბუთად, ვითომ გაზეთმა თავი ვერ იმართლა და სიცრუისათვის დაისაჯა.

—

P. S. დღევანდელი ნომერი ჩვენის გაზეთისა გაეგზავნება კავკასიის ნამესტნიკსა და ტფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორს. ამასთანავე ჩვენმა რედაქტორმა შემდეგი განცხადება წარუდგინა ნამესტნიკს:

„მისმა აღმატებულებამ ტფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორმა ეჭვი შემოიტანა ჩემზე, ვითომც გაზეთ „ცნობის ფურცელ“-ში, რომელიც ჩემის რედაქტორობით გამოდის, იბეჭდებოდეს ისეთი წერილები ქუთაისის გუბერნიიდან, რომელნიც არა სინამდვილით ხატავენ ხსენებულ ადგილებში მოქმედ ჯარის ქცევას. ამიტომ ბ. გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მომცა შვიდ დღეში წარმომედგინა „შეურყეველი საბუთები დაბეჭდილის დასამტკიცებლად“. თუ ეს საბუთები არ იქნა წარმოდგენილი, მაშინ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ დაიხურება და ვერ გამოვა, სანამ ქალაქ ტფილისში სამხედრო წესი იქნებაო“.

ამ განცხადებასთან წარმოდგენილ „ცნობის ფურცლის“ ნომერში მოყვანილია ზოგი ოფიციალური დოკუმენტები; გარდა ამისა რედაქციას აქვს იმ პირების სია, რომელნიც მზად არიან დაამოწმონ „ცნობის ფურცელ“-ში დაბეჭდილ ცნობების სინამდვილე. უფრო დაწვრილებით „დაურღვეველ საბუთების“ წარმოდგენისათვის-კი საჭიროა:

1) უფრო გრძელი ვადა, დაახლოვებით ორი თვე;

2) თქვენი ნებართვა, რომ შეიძლებოდეს თავისუფლად ვისარგებლოთ ოფიციალურის მოხსენებებით მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებებში;

3) გაგზავნა თქვენის საგანგებო მოხელისა „ცნობის ფურცლის“ ორ თანამშრომელთან ერთად ქართლსა და დასავლეთ საქართველოში ადგილობრივ გამოსაძიებლად და

4) სრული ხელუხლებლობა იმ პირებისა, რომელნიც ფიცის ქვეშ შეამოწმებენ ყოველგვარ ძალმომრეობას.

როცა ეს პირობები ასრულებული იქნება, რედაქცია აღნიშნულ ვადის განმავლობაში დაამტკიცებს, რომ „ცნობის ფურცელ“-ში დაიბეჭდა მხოლოდ სულ პატარა ნაწილი იმ ფაქტებისა, რომელნიც ახასიათებენ ეგრედ წოდებულ „დასჯელ რაზმების“ ძალმომრეობას საქართველოში.

ხოლო ჭეშმარიტება, რომელსაც ასე გულმოდგინეთ ეძებს ბ. გენერალ-გუბერნატორი, საუკეთესოდ გამოირკვევა ან საჯარო სასამართლოს შეწევნით ან სენატის საჯაროვე რევიზიით., რომლის შესახებ საკითხი აღძრა სხვათა შორის ქუთაისის გუბერნიის სათავად-აზნაურო კრებამაც.“

დასავლეთ საქართველოში

გურია. სუსტიანი ვიღებ კალამს ხელში. ის, რაზედაც მინდა ვსწერო, საშინელი და სავალალოა და არ ვიცი, რა სიტყვები მოვძებნო იმის აღსანიშნავად, გამოსახატავად, რომ სურათი ნათლად დავუყენო თვალწინ. ყოველი სიტყვა უფერული მგონია საამისოდ.

ჩემ წინაშე ძევს 1 და 2 თებერვლის გადამწვართა სიები. ავიღოთ ერთი სია, საზოგადოებრ ქვედა აკეთისა. პირველად სწერია „მათითაიშვილი გიორგი, გადაუწვეს სახლი და ნალია, ღირებული 250 მან. თავშესაფარი აღარაფერი დარჩენია. სარჩენი ჰყავს ხუთი“. მეორე—„კობახიძე ფარნა, დაეწვა ოჯახი. სარჩენი ჰყავს ათი“. „ჭეუღლი ეასარ, დაეწვა ოჯახი, სარჩენი ჰყავს 9 წვრილი შვილი. თავშესაფარი არ დარჩენია“. ან და ცოტა ქვევით: „მორჩილაძე, ქვრივი ქალი, დაუწვეს ოდა, სამზარეულო და სუდით ავადმყოფი შვილი. მეორე შვილი სალდათად ჰყავს. თავშესაფარი არ დარჩენია, სარჩენი სამნი არიან“, და ასე ბოლომდის ორმოცდა რვა ოჯახის განადგურება-აწიოკება აწერილი. ამ ორმოცდა რვა მოსახლე კაცში ოცდა თერთმეტი ოჯახი, ე. ი ქალ-ბავშვიან-მოხუციანა 127 სული, დარჩა სრულიად ცის ქვეშ, ღვთის ანაბარად, უშუალოდ და უბინაოდ. ერთიოდე საათში შთანთქა ცეცხლმა ის, რაც რამდენსამე მოდგმას უშენებია, ის, რითაც აშენებდა აქამდე ხალხი თავის გატანას. დანარჩენი, ესე იგი 14 მოსახლეს, დარჩენია თავშესაფარი, მაგრამ აი თუნდა ავიღოთ ჩხაიძე შავარდენ: დასწვეს ოდა, ნალია და ნივთები და დარჩენია მარტო სამზარეულო. სხვებიც არიან ამნაირ გარემოებაში. აკეთში მხოლოდ სამ მოსახლეს გადასწვია მარტო ფაზარმები. დანარჩენები უკიდურეს სიღარიბეში ჩაცვივნულან. ასეთივე დღე ადგია ს. ძიმითში გადამწვარ თერთმეტ ოჯახს, სრულიად უბინაოდ დარჩენილთ. შვიდ ოჯახს დარჩენია „საჟუღარი“, დანარჩენ 35 მოსახლეს გადაუწვეს ნალიები, ზოგს სომინდიანი, წისქვილები და სხვა შენობები. ერთს, დარისპან ჯახუტაშვილს, წაართვეს უღელი ხარი, 100 მანეთად ღირებული, ხოლო ვლადიმერ ჯახუტაშვილს—ძროხა. 60 მან. ღირებული. ხარები და ძროხა, როგორც გადმოგვცეს ძიმითელებმა, ჯარმა ოზურგეთში გარეკა და იქ დაჰკლა. ძიმითში დაუწვავთ აგრეთვე ვლადიმერ ბინიაშის ოჯახი, ტომით რუსისა. ნასალდათევი უფილა, იქ ცოლი შეურთავს და დასახლებულა. იმის ავლა-დიდებას სულ შეადგენდა: ერთი ფურა, 20 მან. ღირებული, და ოჯახის მოწყობილებაც 20 მანეთისა. არაფერი აღარ დარჩენია საწყალს. წვრილი შვილები და ქვრივი სრულიად უმწეოდ დარჩენილან. სულ ძიმითში გადაწვით მომხდარი ზარალი შეადგენს 6381 მან. ფულად რომ ვიანგარიშოთ, მაგრამ ზნეობრივად კი შეუფასებელია.

აი მოვიყვან ერთ ჩემ მეგობარ ქალის წერილიდან ადგილს: „მტერსაც ნუ დაადგეს ღმერთმა იმნაირად, რავარც მე დამეყარეს ცას ქვეშ. ისე დამწვეს, რომ ერთი უბედური აღარ დარჩენილა ჩემადა. რა უთხრა ამ პაწაწკეებს, ავათმყოფ ბალღებს, რით ვარჩინო, რა ვაჭამო?...“ ამას მწერს სამი პატარა შვილის პატრონი დედა. ამასთანა წერილებს და ჩივილს არა აქვს დასასრული. ერთი ოჯახ გადამწვარი დედა ამ რამდენისამე დღის წინად მოვიდა და თვალცრემლიანი იხვეწებოდა: „რა ქნა, ბალღები შიმშილით და სიცივით მიკვდება და ეგება გეგულება ვინმე ქრისტიანი, რომ ერთი მაინც ეიყვანოს და არჩინოსო“. აი, ამნაირ მდგომარეობაში არიან დღეს გადამწვარ-აწიოკებულნი. გახაზნვამ სრულიად გაადატაკა და გააღარიბა ხალხი. ისეთი ოჯახი არ არის, რომ ავადმყოფი არ ჰყავდეს. ექიმობაც მოუხერხებელია. ექიმი ბ-ნი ხოდნიევი უსასყიდლოდ ექიმობს გადამწვართა ოჯახობას, მაგრამ ექიმის გარდა ავადმყოფს უნდა წამალი, საჭმელი, ქვეშაგები და ესენი კი არ არის; ამიტომ დამწვრები ნაკლებად სარგებლობენ გულშემატკივარ ექიმის სამსახურით, თუმცა დიდად მადლობელნი არიან იმისი. არ ვიცი, როგორ უნდა მოხერხდეს, რომ ცოტაოდენი შემწეობა მაინც მიაწოდოს კაცმა, თორემ დიდი გაჭირვება მოელის ყველას.

ბახვში გადამწვრია 17 მოსახლე, ისე, რომ ერთი ძაფიც კი არ გადაურჩენიათ. არავინ მოელოდა წვას. სწორედ გადაწვის დღეს კრება ჰქონდათ თურმე ბახვში. როცა ცეცხლი დაინახეს, ცოტა აშვი შეეპარათ, მაგრამ ისევ ჩქარა დამშვიდდნენ, რადგან ფიცი ჰქონდათ მიღებული. პლასტუნები თურმე მრისხანედ მოქმედებდნენ და იძახოდნენ: „რისთვის დაგვაცენ ნასაკირალზე, ჩვენ იქ ორი დღე უჭმელნი ვიყავითო.“ სწვავდნენ სახლებს და სცემდნენ უწყალოდ ხალხს. „კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ქალ ბალღებს უმეტეს ნაწილს არ გვეყვადა შინაო“, მითხრა ერთმა, აკეთელმა, რომელსაც დიდა და თვალი დალილავებული ჰქონდა ცემისაგან. 16 წლის შუშანა მარხილაძეს, რომელიც ჯაჭვით იყო მიბმული და რომლის შეშლილობაც არ დაიჯერეს თურმე პლასტუნებმა, სახლის გადასარჩენათ დაუბამთ იფიქრეს, ზოგიერთას სიტყვით, ჯერ „ხამტო“ ჰკრეს და მერე უწყალოდ დასწვეს ცეცხლში. ოსე მათათაიშვილისას გლახა ჰყავდათ სახლში, და დიდის ხვეწნა-მუდარის შემდეგ ძალით გამოათრიეს უკვე ცეცხლ მოკიდებულ სახლიდან, თორემ არ აძლევდნენ ნებას გამოეყვანათ. „შენ ოჯახ-წინ რომ ეცემა, თუნდაც მოეკლათ შენი ღვიძლი შვილი, ვერაფერს ეტყოდით;—მითხრეს აკეთელებმა:—ერთი საუკეთესო, ერთი ხმა არა კაცს არ ამოუღია, კრინტი არ დაგვიძრავს: ვიდექით და შევყურებდით, რაფერ იწვოდა ჩვენი ოფლით ნაშოვნ-ნაშრომი ოჯახი. ჩემი სამოცდაათ წლეიწადში ნაკეთები და ნადაგი ოჯახი, სადაც გავატარე, ავათ თუ კარგათ, მთელი სიცოცხლე, სადაც ვპირობდი სიკვდილს ჩემ შვილების და შვილიშვილების ხელში, ნახევარ საათში გაანადგურა ცეცხლმა და მე-კი ვიდექი და „ვუყურებდი დამშვიდებული. ვაი ჩემ თავს, ვაი ჩვენ თავს!“—მითხრა თვალცრემლიანმა მოხუცმა და უიმედოთ გაიქნია თავი. დღე არ გავა, რომ ამასთანა გულ გამგმირავის მოთხრობით ათი-თუთხმეტი არ მოვიდეს.

ამ რამდენისამე დღის წინად მოვიდა ქვრივი მელქედურელი.

— რა გნებავს—მეთქი, ვკითხე.

— გადამწვარი ვარ,—მითხრა:—შევიტყე აქანაი ფულს აძლევენ და მოვედი, რაცხა იქნება ორი კაპიკი მეც მომცეთ.

— პოლკოვნიკ კრილოვმა აღგვიკრძალა ფულის დარიგება და იმ ფულს, რომელიც ჩვენ გამოგვირთავს, 474 მანეთს, თითონ არიგებს, იმას მიმართე და იქნება მოგცეს.—ვუთხარი მე

— ვუ, ვუ, მარა ყურადღება არ მომაქცია.

მთელი თავისი გასაჭირი, მთელი თავისი ვაი-ვაგლახით გამოვლილი ცხოვრება მიამბო საბრალო ქალმა. მიამბო, როგორ დარჩა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქვრივი ორის პაწია ბავშვით, როგორ მუშაობდა დღე და ღამე, როგორ გამოზარდა და მოზიტა შვილები. უფროსი 17 წლისაა, უმცროსი თორმეტისა, ორივე მუშა, მშრომელი ბავშვია.

— მართალია შკოლაში ვერ გავზარდე, მარა მუშაობას-კი შევაჩვიე და ახლა გფიქრობდი სიცოცხლეს შევიტყობ მეთქი და ახლა ჩემი ოჯახი ნაცრად მიქციეს და თავიდან რაფერ დევიწყოთ—მითხრა:—დაწვას სულ არ მოველოდი, დაფიცებული ქე ვიყავით ერთგულებაზე და რა ვიცოდი მე უბედურმა, მაინც თუ დაგვწვავდენ. სადამოს ასე ბინდდებოდა,—განაგრძო,—როდესაც თერთმეტი კაზაკი დევინახე. მეც მომადგნენ კარზე და რაცხა შემოვიდნენ სახლში, საჭმელი მოითხოვეს და მაშინათვე რაც საუკეთესო რამე მომეძებნა, მივართვი. ჩვენ გახმათ ლობიე და მჭადი გვქონდა, მარა იგინიზა შენახული ხორცი მქონდა. გამოვიღე და მივართვი, ღვინო, ცხელი მჭადი, ერთი სიტყვით, რაც გემეწყობოდა, აფერი დამიკლია, მშვიდობით გაძღებიან, მადლის მეთქი ვიფიქრე. ეგერ მიდმა დასხდნენ და დეიწყეს ჭამა, კიდევ ათავებდნენ, რომ სადაიდან მოარდა დაკაპიწებული ერთი კაზაკი, შემოურბინა სახლს და გუტკნია სოფიქა „ნაბურაგში“ ცეცხლმა იბდღიალა და ავარდა ზეით. მაშინათვე მე ვიკივლე და მივაშურე შვილებიანა, ერთმა ჩემმა შვილმა კიბე მიარბენია, მიიდგა, უნდოდა ნამაქრი ისლი, მარა სწორედ ამ დროზე მოარდნენ აი თერთმეტი ნავახშმევი კაზაკები და ჩამოათრიეს ძირს. ჩემმა მეზობელმა ბრმა კაცმა მიაშურა, უნდოდა რაცხა უშველებოდა, მარა ერთმა კაზაკმა იშამა სატევარი და გამოუკიდა ამ ბერიკაცს. იმის შიშმა ცხადკე მომკლა მე უბედური, მარა რას ვიზამდი, კივილის მეტს? სახში მინდოდა შესვლა, ჯერ-კი გეიბედე, შემეშინა ჩემ ხელა დედაკაცს, რა ვიცი... დამჭიდრო ბატი მეყავდა, იმას მაინც გადავარჩენდი, რომ იმის სიცოცხლეზე მომკლა. ამ დროზე გავიხედე, რომ კაზაკს დუგდაი მიწაზე ჩემი უმცროსი ბიჭანა, და დუბიჯებია მუხლი გულზე... დედავ, თვალი რეიზა არ დამეფხუ მე საცოდავს, ამის მაყურებელს.. ჩემი სახლი, ჩემი სიცოცხლის ნატეხი—ნაწნეხი რაფერ ჩამოიხვტა. თათარს და ურიას შეებრალებოდა. ნახევარ საათში გაქრა... სადღეღე-კი დამიწვეს... ახლა სხვისას ვეგდივარ...

ასე მომითხრობდა საწყალი ქალი, გამხდარ-დაკოჟრებულ ხელების პატრონი, უდროოდ დაბერებული ქვრივი. მეც გულჩათუთქული შევცქეროდი და ვერ ვპოულობდი სანუგეშო სიტყვებს. ან კი რა უნდა მეთქვა? რითი უნდა გამემხნევებინა საბრალო, ისედაც ცხოვრებაში დაჩაგრული, უმანქოდ სიღარიბით თითქმის ცხოვრებიდან გარიყული ადამიანი. დახმარება უნდა, უეჭველია, ვფიქრობდი, მაგრამ საიდან, როგორ, რით? აი მწვავე ფიქრები, რომელიც მოსვენებას არ მაძლევდა. და ამისთანა უბედური-კი ვინ იცის რამდენია. ერთ გლეხს მელქედურშავე დაუწვეს სახლი და სახლში ხარები. ვინც იცის გლეხის ცხოვრება, ადვილად გაიგებს, სხვა რომ არა თქვას რა კაცმა, თუ რა არის მუშაობის დროს უხარით ცხოვრება. და ეს გაძარცვულ-გატაკებული ხალხი ელის ამხანაგურ, ძმურ შემწეობას ყველასაგან, როგორც ზნეობრივს, ისე მატერიალურს.

მიუხედავად ასეთ უბედურებისა, ყველა ესენი იმედს არა ჰკარგავენ. იმედი აქვთ, რომ ისევ დაიდგამენ პაწია ქოხებს, ისევ გაიჩენენ ხარუღელს, ბატ-იხდურს, ისევ შეამუქებს მათ დაღონებულ გულში სიხარულის სხივი და ბედნიერება ეუფლება იმის დაღლილ სულს... მხოლოდ დრო და მოთმინებაა ამისთვის საჭირო. საუკუნოებით მოთმინებას შეჩვეულ გლეხკაცისთვისაც ძნელი ყოფილა უსახლ-კარობა, და ამის შეჩვევა და მოთმინება ძნელი კი არა, შეუძლებელი და აუტანელი სატანჯველია. ნამეტნავად ბავშვების სანახაობა უკლავს კაცს გულს. გატიტვლებულნი, გამხდარნი, ეხლა, როცა დღესასწაული ახლოვდება... გადამწვართა ბავშვები, რომელნიც შეჩვეულნი იყვნენ საადგომოდ ახალ ტანისამოსს, საჭმელზედაც-კი დანატრულებულნი იქნებიან. ასეთი ბავშვი კი ბევრია. სულ ეხლა, თებერვალში გადამწვარნი, აკეთისა, ძიმითისა, ბახვსა, ღვაბზუსა და მელექედურზე 130 მოსახლეა. ზარალი ამ სოფლებში 35 ათას მანეთს შეადგენს. აქ არ შედის ნაგომარზე გადამწვართა სახლები, არც ოზურგეთში გადამწვარნი,—სამი სახლის გარდა; არ შედის არც გურიანთაში და აგრეთვე არც იმ პირთა სახლები, ვისაც „დანაშაულობისათვის“ დაუნგრიეს და დაუწვეს (ნოხვტური, ხიდისთავი და ამადლება-ასკანა). ძველი, ე. ი. ოქტომბერში გადამწვარი 114 მოსახლეა მაშინდელი ზარალი საზოგადო დაწესებულებების გარდა, (სკო-

ნაცნობი

ახალი ამბავი

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

22 მარტი.

პეტერბურგი. აირჩიეს ყველა 160 ამომრჩეველი, დასახელებული კონსტ.-დემოკრატების მიერ. რუსთა კრებისა და დანარჩენ მონარქიულ პარტიის კანდიდატები თითქმის ყველგან გააშავეს.

ლანსი. გაფიცვა უფრო ძლიერდება.

ვენა. სამეფო საბჭომ დაადგინა, ჰუნგრეთში არჩევნები აღარ დანიშნოს.

იურიევი. მესამე ამომრჩევლად სახელმწიფო საბჭოში პროფესორი პუსტოროსლევი აირჩიეს.

ბრიუსელი. მთა-მადნების მუშების გაფიცვა ბორინაჟის რაიონსაც მოედო.

პეტერბურგი. როგორც „რუსკოე გოსუდარსტვო“-ს გაუგონია, უმაღლესად დამტკიცებულ დროებით წესებში ბეჭდვითი სიტყვის შესახებ შემდეგი ცვლილებაა შეტანილი: განცხადება პასუხისმგებელ რედაქტორის გამოცვლისა ან ორგანოს გამოცემის პირობების შეცვლის შესახებ უნდა შეიტანონ ორგანოს გამოშვებამდე. თუ ცვლილება მოულოდნელად მოხდა, მაშინ სამის დღის განმავლობაში დღიდან ამნაირ შემთხვევისა დრო-გამოშვებით გამოცემების წარდგენა თანამდებობის პირთათვის, განზრახულია, მესტამბეებს დააკისრონ. სხვა და სხვა სურათი და ნახატი, რომელიც რომელსამე ორგანოში უნდა მოათავსონ, შეიძლება წარუდგინონ „ოტისკის“ სახით. თუ ეს წესები არ შეასრულეს, მაშინ შეიძლება დაიჭირონ ცალკე ნომრები დრო-გამოშვებით გამოცემისა. თუ ამ დაჭერილ ნომერში ისეთი რამ მოიპოვება, რომელიც სისხლის სამართლის კანონის დამრღვევი იქნება, მაშინ უნდა დაიჭირონ სტერეოტიპიცა და დანარჩენი კუთვნილება, რომელიც დასაბეჭდად იყო გამზადებული. თუ ისეთი არ აღმოჩნდა, რისთვისაც სისხლის სამართალში უნდა მიცემულიყო დამნაშავე, ან საზოგადოდ, ბეჭდვით სიტყვის კანონი არ იქმნა დარღვეული, მაშინ სასამართლოს შეუძლია, დაადგინოს გაანადგუროს ხსენებულ ორგანოს ნომერი და ყველა მისთვის დამზადებული მასალა. თუ ამ გამოცემის აკრძალული ნომრები ვინმე მესამე პირის ხელში აღმოჩნდა, მაშინ მათი წართმევა აღარ შეიძლება. შეჩერებულისა ან სამუდამოდ მოსპობილ გამოცემების გამომცემელთ, აეკრძალებათ სასამართლოს-მიერ აღნიშნულ დროის განმავლობაში, გამოსცენ თვითონ ან ვისიმე საშუალებით ახალი ორგანო. ვინც ამ მოთხოვნას დაარღვევს, 3 თვით ჩასვამენ საპყრობილეში, ან 300-დან 3,000 მან. დააჯარიმებენ. თუ კიდევ გაიმეორა ამნაირი დანაშაული, მაშინ დაატუსაღებენ ერთ წელსა და 4 თვემდე.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ნიჟნი-ნოვგოროდში კონსტ.-დემოკრატებმა ყველა პარტია დაამარცხეს არჩევნებზე.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

22 მარტი

პეტერბურგი. პეტერბურგში ორ დანარჩენ საარჩევნო ნაწილებშიაც კონსტ.-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. ასე რომ ქ. პეტერბურგიდან არჩეულ იქნა 160 კონსტ.-დემოკ. სათათბიროს ამომრჩევლებად. უკანასკნელნი კიდეც ასახელებენ სათათბიროს წევრებს: როდიჩევს, ნაბოკოვს, კარეევს, პეტრაჟიცკის, ჰესენს, კედრინს, პეტრუნკევიჩს, ვინავერს და ფეოდოროვს.—სამოსამართლო პალატამ ჟურნალ „სიგნალ“-ის რედაქტორს ნახევარის წლით საპყრობილე მიუსაჯა. ბრალდებულს საქმე სენატში გადააქვს. თავი ჩამოიხრჩო ცნობილმა ბანკირმა ჰენრიხ ბლოკმა.

ლანსი. დღეს კიდევ ამოიყვანეს ცოცხალი მუში ერთ მაღაროს ნანგრევებიდან. ფიქრობენ, რომ მაღაროებში კიდევ ბევრი მუშაა ცოცხალ-მკვდარიო.

ვილნო. „ნოვაია ზარია“-ს რედაქტორებს ბესკინსა და შლობერგს ციხეში ჩამწყვდევა მიუსაჯეს—პირველს ორის კვირით, მეორეს—ერთის წლით.

ჩიტა. დააპატიმრეს გენ.-ლეიტენანტი ხოლშჩევნიკოვი.

ვორონეჟი. ქალაქმა 80 ამომრჩეველი აირჩია; ყველანი კონსტიტ.-დემოკრატები არიან.

კიევი. გენ.-გუბერნატორმა სამხედრო წესების მოხსნამდე შეაჩერა გაზეთი „კიევსკაია ჟიზნ“-ი.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭომ წინადადება მისცა შინაგან საქმეთა მინისტრს, შეამციროს ადგილობრივ ადმინისტრაციის ხარჯი ზოგიერთ გუბერნიებში და სურვილი განაცხადა, შემოღებულ იქნას საერთო საერობო დებულება.—მიღებულ იქნა პროექტი იუსტიციის მინისტრისა უზენაეს სისხლის სამართლის სამსჯავროს გადაკეთებისა. სასამართლომ უნდა გაარჩიოს ყოველივე საქმე, რომელიც-კი შეეხება სახელმწიფო საბჭოს წევრებისა, მინისტრებისა, ცალკე ნაწილების მთავარ-გამგებელთა, ნამესტნიკენისა და გენ.-გუბერნატორების დანაშაულობას სამსახურში ყოფნის დროს.—ბეჭდვით საქმის მუშათა კავშირმა დაადგინა შემოიღოს კვირა-უქმეებში ასოთამწყობთა დასვენება ნებაყოფლობითის შეთანხმებით 16 აპრილიდან.—ტყუილია ცნობა, ვითომ მწერალი ანნენსკი პეტერბურგიდან გაეგზავნოთ.

იურიევი. სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლებად უნივერსიტეტმა აირჩია რექტორი პასეკი და დეკანი საექიმო ფაკულტეტისა ევეცკი.—ორივე პროგრესისტი. მესამე ამომრჩევლის გულისთვის დიდი ბრძოლაა კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო. მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. უფასო ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი.

ავლაბარსა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო. ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის. უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქართველ მკითხველ რკინის გზით მგზავრების საყურადღებოდ

დაიბეჭდა და ისყიდება სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასაში საინტერესო ახალი თანამედროვე რომანი ორ ნაწილად

ცხოვრება და სიყვარული

წიგნი დიდი ზომისაა, დაწერილია დღევანდელ კითხვებზე, ცოლ-ქმრის კავშირზე და სქესობრივ დამოკიდებულებაზეა. დაბეჭდილია სუფთათ, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი, შეიცავს 350 გვერდს და ღირს მხოლოდ ორი აბაზი. იქავე ისყიდება სხვა წიგნებიც და აგრეთვე 1905 სრულ წლის გაზეთი „ცნობის ფურცელი“, გაგზავნით, სარჩევით და შინაარსით მხოლოდ 4 მანეთი. მისამართი: Ст. Михайлово, первому билетному кассиру Чхартишвили. (10—8)

სვირის ღვინო

გავხსენი ვაჭრობა სვირის საუკეთესო ღირსების ღვინოებისა ბოთლი 20 კაპეიკიდან 40 კაპეიკამდე. ვედროობით მორიგებით. დიდუბეში რკინის გზის საავადმყოფოს პირდაპირ, საკუთარ სახლში. პატივცემით ვ. ხომასურიძე. (10—5)

საყმაწვილო ჟურნალი

ნაკადული

სურათებით

წელიწადი მეორე

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე, ალექსანდრეს ქუჩა, № 5. რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

სესხი გლეხებს

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგლეხო ბანკის დახმარებით გლეხებს შეუძლიათ ადგილ-მამულის შეძენა. ვკისრულობ ყველა საქმეს, რომელიც დასჭირდება სესხის გამოტანას, ადგილ-მამულის შეძენას სოფლის საზოგადოებისათვის, გლეხთა ამხანაგობისათვის, ცალკე სოფლებისათვის; ვაფასებ ტყეებს, ვადგენ გეგმებს, მამულების აღწერას,—ყველაფერს, რაც საჭიროა მამულის ყიდვა-გაყიდვისათვის და დაგირავებისათვის.

იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ჰსურთ მამულების გაყიდვა და აგრეთვე იმ გლეხთა საზოგადოებათ და სოფლებს, რომელთაც ჰსურთ მამულების ყიდვა ჩემის შუამავლობით, ვთხოვ მომმართონ მე **ტფილისში**, ფრეილინის ქუჩა, სახლი № 3, ტელეფონი № 567, **გ. ხნეუკოვს.** (30—19)

Открыта подписка на 1906 годъ

на газету

ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ.

XXIX годъ изданія.

Въ 1906 году газета „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“ будетъ выходить, какъ и раньш, ежедневно, кромѣ дней послѣпраздничныхъ и понедѣльниковъ, по прежней полной программѣ газеты политико-общественной и литературной, но безъ предварительной цензуры.

Подъ новой редакціей

и при усиленномъ и обновленномъ составѣ постоянныхъ сотрудниковъ.

Выступая на защиту общенародныхъ идеаловъ гражданской свободы, новая редакція будетъ проводить на страницахъ „Тифл. Листка“ идею наиболѣе широкаго осуществленія въ политико-государственной жизни всей Россіи демократическаго, политическаго, представительнаго образа правленія. Но своей ближайшей задачей новая редакція ставитъ служеніе интересамъ Закавказья и всѣхъ его народностей. Признавая за каждой изъ нихъ неотъемлемое право на всестороннее культурно-національное самоопредѣленіе, „Т. Л.“ будетъ настаивать на организаціи общекавказскагоо самоуправленія съ представительнымъ всенароднымъ сеймомъ въ составѣ выборныхъ делегатовъ отъ разноплеменнаго населенія края, неразрывно связаннаго съ Россіей общегосударственными установленіями и законами.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:	Съ перес. въ друг. города:	Съ пересылкой за границу:
На 12 м.—5 р., на 11 мѣс.—4 р. 75 к., на 10 м.—4 р. 50 к., на 9 м.—4 р. 25 к., на 8 м.—4 р., на 7 м.—3 р. 50 к., на 6 м.—3 р., на 5 м.—2 р. 50 к., на 4 м.—2 р. 25 к., на 3 м.—1 р. 45 к., на 2 м.—1 р. 50 к., на 1 м.—75 к.	На 12 м.—7 р, на 11 м.—6 р. 50 к., на 10 м.—6 р., на 9 м.—5 р. 50 к., на 8 м.—5 р., на 7 м.—4 р. 50 к, на 6 м.—4 р., на 5 м.—3 р. 50 к., на 4 м.—3 руб., на 3 м.—2 руб. 50 коп., на 2 мѣс.—2 руб., на 1 мѣс.—1 руб.	На 12 мѣс.—12 р., на 11 м.—11 руб., на 10 мѣс.—10 руб., на 9 м.—9 р., на 8 м.—8 руб., на 7 м.—7 р., на 6 м.—6 р., на 5 м.—5 р., на 4 м.—4 руб., на 3 м.—3 р. 50 к., на 2 м.—2 руб. 50 коп., на 1 м.—1 р. 50 коп.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ на любой срокъ, но только съ 1-го числа каждаго мѣсяца, исключительно въ конторѣ изданія, Головинскій проспектъ, № 15.

Плата за объявленія: для Закавказья за мѣсто, занимаемое строкой петита, передъ текстомъ—10 коп. и послѣ текста—5 к. Извѣщенія о зрѣлищахъ печатаются на первой страницѣ по 20 к. за строку и на 4—по 10 к. За объявленія въ справочномъ отдѣлѣ взимается по 8 к. за строку. Объявленія внѣ предѣловъ Закавказья принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. и Э. Метцль и К° въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ его—въ С.-Петербургѣ, Большая-Морская, № 11; въ Варшавѣ, Краковское предмѣстье, № 53, по 24 коп.—передъ текстомъ и 12 коп.—послѣ текста. Об. 3—3